საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცრუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

პარასკევი, 1 დეკემბერი. 2017 წ. №243-244 (8380-8381), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

მწყემსი საქართველოსი

ორმოცი წელი ილია მეორის საპატრიარქო ტახტზე აღსაყდრებიდან

თუ XIX საუკუნის II ნახევარში საქართველოს ჰყავდა დიდი ილია, ენის, მამულისა და სარწმუნოებისათვის თავგამოდებული მებრძოლი; XX საუკუნის პირველ ორმოცწლეულში იყო დიდი ივანე ჯავახიშვილი, რომელმაც ერს თავდადებული შრომით სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულის მაგალითი უჩვენა; გასული საუკუნის ბოლო ორმოცწლეულსა და XXI საუკუნის პირველ ოცწლეულში არის პიროვნება, უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, ილია მეორე, რომელმაც ღირსებით გააგრძელა ილია ჭავჭავაძისა და ივანე ჯავახიშვილის გზა, თავისი ძლიერი მხრებით, ბურჯად შეუდგა დიდ წინაპართა საქმეებს; პიროვნება, რომელსაც არ აშინებს ტვირთის სიმძიმე, იმედად მოევლინა ერს, ძალისხმევას არ იშურებს ხალხის სამსახურისათვის, სიკეთესა და სითბოს ასხივებს და ათბობს ადამიანთა გულებს.

იხ. 6-7 გვ.

ეროვნული ბანკი მოსახლეობას აფრთხილებს!

„საქართველოს ეროვნული ბანკი მოუწოდებს მოსახლეობას, განსაკუთრებული სიფრთხილითა და ყურადღებით მიუდგნენ ისეთ კომპანიებთან ურთიერთობას, რომლებიც მათ სთავაზობენ საკუთარი სახსრების დაბანდებას მაღალი რისკის შემცველ ფინანსურ ინსტრუმენტებში(!) აღნიშნული ეხება იმ კომპანიებსაც, რომლებიც მოსახლეობას სთავაზობენ ელექტრონულ სავალუტო ბაზრებზე (FOREX) საკუთარი სახსრების დაბანდებასა და უცხოური ვალუტით ვაჭრობას.

ასეთი კომპანიები, შეიძლება მოქალაქეთა შეცდომაში შეყვანის მიზნით, ორგანიზაციის დასახელებაში იყენებდნენ ტერმინებს „საფინანსო“, „საბროკერო“, „საინვესტიციო“ ა.შ. რაც ავტომატურად არ გულისხმობს, რომ ეს კომპანია არის საფინანსო სექტორის ლიცენზირებული წარმომადგენელი და ეროვნული ბანკის მიერ რეგულირებული. საქართველოს კანონმდებლობით, ე.წ. FOREX პლატფორმაზე მოვაჭრე შუამავლები, ამ ეტაპზე არ რეგულირდებიან ეროვნული ბანკის მიერ.

ნებისმიერი პირის უფლებაა, მიიღოს გადაწყვეტილება საკუთარი სახსრების განკარგვის შესახებ. თუმცა სამომავლოდ, დაბანდებული თანხების დაკარგვის რისკის თავიდან აცილების მიზნით, კიდევ ერთხელ მოვუწოდებთ მოსახლეობას, რომ თანხების ინვესტირებისას მიიღონ მხოლოდ გონივრული და ინფორმირებული გადაწყვეტილება“, — ნათქვამია სებ-ის განცხადებაში.

ლევან ახვლედიანი:

ანაკლიის პორტი 2020 წელს უკვე ამოქმედდება!

②

ავაზაკო სააკაშვილო, ასეთი მოწოდებაა ზუსტად სახელმწიფო გადატრიალება!

მიხეილ სააკაშვილმა საკუთარ მომხრეებს კიდევ ერთხელ მოუწოდა, მისი დაკავების შემთხვევაში მთელი ქვეყნის მასშტაბით ადგილობრივი ადმინისტრაციებისა და ძალოვანი უწყებების შენობების ბლოკირება მოახდინონ.

„მივმართავ არა მხოლოდ ჩვენს მომხრეებს, არამედ ყველა ადამიანს. ჩემი დაკავების შემთხვევაში მოგიწოდებთ, საოლქო სახელმწიფო ადმინისტრაციების, გენერალური პროკურატურის და უშიშროების სამსახურის შენობების ბლოკირება მოახდინოთ, იმიტომ, რომ პრობლემა ჩემში კი არა, ყველა მტკიცებულების ფალსიფიცირებასა და სრულ განუკითხაობაშია, რასაც ისინი პრეზიდენტის ბრძანებით აკეთებენ“, — დამოძღვრა სააკაშვილმა უკრაინული ტელეარხის NewsOne-ის მაყურებელი.

ოთარ ხუციშვილი:



ქართული ბიზნესის „მსუქანი“ რეიტინგი და „მჭლე“ ეკონომიკა

④

საკონსტიტუციო სასამართლომ, მარიხუანა ზომიერად მოიხმარეთ, არავის დაგიჭერთო!

②

ჩემთან... მაცივარში ინახება ასაფეთქებელი...

მიხეილ სააკაშვილის ინფორმაციით, უკრაინის უსაფრთხოების სამსახურმა სასამართლოსგან გადაწყვეტილება მიიღო მისი ბინის ჩხრეკის შესახებ. სააკაშვილი უკრაინის უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებს მიმართავს:

„ბოდიში, მეგობრებო, ვერ დაგელოდეთ, კონოტოპში გავემგზავრე ჩემს აგენტურულ საქმეებზე, რათა რუსეთის საზღვარზე ინსტრუქციები მივიღო. რათა გაგიადვილოთ ამოცანა, როდესაც შემოხვალთ ჩემთან, კარები იმავე გასაღებით შეგიძლით გააღოთ, რომელიც ჩემს მძღოლს „ყაჩაღებმა“ წაართვეს, რომლებმაც ის სადარბაზოში სცემეს და რომლის მეშვეობით თქვენ ათი დღის წინათ კამერები დააყენეთ ჩემს ბინაში.

კარადაში შეუძლიათ ნახონ პოროშენკოს კორუფციულ სქემებზე გაზეთები, მაცივარში „როშენის“ მოწამლული შოკოლადი, ხოლო სეიფში კი ინახება ასაფეთქებელი, რომელიც მხოლოდ ბარიგებისთვის ფეთქდება.

რაც მთავარია, გასვლისას არ დაგავიწყდეთ შუქის ჩაქრობა, თორემ მას შემდეგ, რაც პეტრო პოროშენკო DTEK-ის თანამფლობელი გახდა, ელექტროენერგიაზე ტარიფები უფრო გაიზარდა, ვიდრე ეს ახმეტოვის დროს იყო“, — წერს სააკაშვილი „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე

* * *

შენ რომ ახლა სახუმაროდ გაქვს საქმე, ისე იხუმროს ჩვენმა მტერმა, ცოდვილო სააკაშვილო!

ავთანდილ მჭედლიშვილი:

ახალ მუზეუმს მძლავრი ფესვები ექნება

⑤



შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების სტანდარტების მონიტორინგში არანაირი კომპრომისი არ უნდა იყოს დაშვებული

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა მთავრობის გუშინდელ სხდომაზე რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრ ზურაბ ალავიძეს მიმართა, საბავშვო ბაღებში, სკოლებში, სასტუმროებსა და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში განხორციელდეს უსაფრთხოების სტანდარტებთან შესაბამისობის მონიტორინგი.

გიორგი კვირიკაშვილის თქმით, რეგიონებში უნდა ჩატარდეს კამპანია, რათა მშენებლობისა და ექსპლუატაციაში მიღების ნორმებთან შესაბამისობის მიმართულებით კომპრომისი არ იქნეს დაშვებული.

„მინდა, ზურაბ ალავიძეს ვთხოვო, რეგიონებში კიდევ ერთხელ ჩავატაროთ სამუშაო კამპანია, რათა მშენებლობისა და ექსპლუატაციაში მიღების პროცესში არანაირი კომპრომისი ამ მიმართულებით არ იყოს დაშვებული. ეს, რა თქმა უნდა, რაც ეხება მომავალში პრევენციას, მაგრამ აუცილებლად უნდა დავიწყოთ არსებული შენობა-ნაგებობების მონიტორინგი, ან თუ გნებავთ, აღრიცხვა ამ მიმართულებით.

განსაკუთრებით ეს ეხება საბავშვო ბაღებს, სკოლებს, რა თქმა უნდა, სასტუმროებს და ისეთ შენობებს, სადაც ერთდროულად ბევრი ადამიანი იყრის თავს. ასევე უნდა შემოწმდეს, რამდენად უზრუნველყოფილია ადამიანების თავისუფალი მოძრაობა ასეთი ტიპის საგანგებო სიტუაციების შემთხვევაში. მოგიწოდებთ, მაქსიმალურად მოკლე ვადაში ჩავატაროთ სამუშაო, რათა დავადგინოთ, რა არის გასაკეთებელი ამ მიმართულებით. იცით, რომ მომავალი წლისთვის საგანგებო სიტუაციებისა და შესაბამისი სამსახურებისთვის 20 მილიონი ლარია გათვალისწინებული და მათი აღჭურვაც ძალიან მნიშვნელოვანი იქნება, რომ ჩვენ მაქსიმალურად ეფექტური ვიყოთ“.

ეკონომიკური ზრდა: სინამდვილე თუ ცარიელი სიტყვა?!

2017 წლის ოქტომბრის თვის ეკონომიკურმა ზრდამ, წინასწარი მონაცემებით, 5.7% შეადგინა; 10 თვეში, 4.9%-იანი ზრდა აღირიცხა — ეს კიდევ ერთი სასიხარულო ამბავი დღეს დილით გამოქვეყნდა, — ამის შესახებ განცხადება პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა გააკეთა.

პრემიერის თქმით, ეს არის რეგიონული მასშტაბით საუკეთესო შედეგი და, რა თქმა უნდა, მაქსიმალურად მეტი დინამიკა შევქმნათ ეკონომიკაში.

„დარწმუნებული ვარ, „თბილისის აბრეშუმის გზის ფორუმი“, რომელიც ჩატარდა, პროექტები, რომლებსაც ხელი მოეწერა და იგეგმება, შექმნის ნამდვილად გაცილებით უფრო მეტ დინამიკას. ჩვენ, მომავალ წელს, ყველა საფინანსო ინსტიტუტის მიერ გაკეთებული პროგნოზით, გველოდება კიდევ უფრო მაღალი ეკონომიკური ზრდა, ვინაიდან, ჩვენ წელს მათ მოლოდინებს მნიშვნელოვნად გადავაჭარბეთ. მომავალ წელსაც უნდა ვეცადოთ და ყველაფერი გავაკეთოთ, რომ პროგნოზებს გავცდეთ, რა თქმა უნდა, დადებითი კუთხით“, — აცხადებს კვირიკაშვილი.

საკონსტიტუციო სასამართლომ, მარიხუანა ზომიერად მოიხმარეთ, არავის დაგიჭერთო!

საკონსტიტუციო სასამართლომ მარიხუანის მოხმარებაზე სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა გააუქმა. საკონსტიტუციოში სარჩელი პოლიტიკურ გაერთიანება „გირჩს“ ჰქონდა შეტანილი, რომელშიც მოქალაქე გივი შანიძე მარიხუანის განმეორებითი მოხმარებისთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საერთოდ გაუქმებას ითხოვდა.

სარჩელი სასამართლოში 2016 წლის 4 მარტს შევიდა. მარიხუანის მოხმარებასთან დაკავშირებით, საკონსტიტუციო სასამართლოში რამდენიმე სარჩელია შეტანილი, რომელთა უმრავლესობა საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა. საქმეს პირველი კოლეგია განიხილავდა.

ლევან ახვლედიანი: ანაკლიის პორტი 2020 წელს უკვე ამოქმედდება!

ანაკლიის განვითარების კონსორციუმის დირექტორის ლევან ახვლედიანის განცხადებით, ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობის პირველი ფაზის დაწყების თარიღი კვლავ 2017 წლის 20 დეკემბერია. პორტი 2020 წელს უკვე მოქმედი იქნება და მშენებლობის დასრულება სამ წელზე ადრე ვერ მოხერხდება.

ამასთან, „თიბისი ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ მამუკა ხაზარაძემ „აბრეშუმის გზის ფორუმზე“ განაცხადა, რომ ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტი პირველი ტვირთის მიღებას ორ წელიწადშიც შეძლებს, ანუ იქამდე, სანამ მშენებლობა ბოლომდე დასრულდება.

„2020 წელს მოქმედი პორტი გვექნება. თუმცა ჩვენ ვცდილობთ, ტექნიკურ გუნდთან ერთად, რომ ორი წლის შემდეგ, პორტის მშენებლობის ბოლომდე დასრულებამდე, პირველი ტვირთები მივიღოთ. მსგავსი პრეცედენტები მსოფლიოში ყოფილა, მათ შორის, მექსიკაში, კოლუმბიაში, სადაც პორტს მშენებლობის პირველი ფაზის დაწყებიდან ორ წელიწადში პირველი გემები მიუღია. ტექნიკურ ჯგუფთან ერთად სწორედ ასეთი გრაფიკის შემუშავებას ვცდილობთ, რომ ეს შევძლოთ“, — აღნიშნავს ახვლედიანი.

მისივე თქმით, ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობის პროექტის ფარგლებში უკვე რამდენიმე მნიშვნელოვან მემორანდუმს მოეწერა ხელი და პროცესი კვლავ გაგრძელდება.

„ჩვენ პირველი ფორმალური ნაბიჯები რეგიონალურ მოთამაშეებთან უკვე გადავდგით, მემორანდუმებს ხელი მოეწერა, ბაქოს და კურიკის პორტებთან. ასევე ვგეგმავთ მემორანდუმის გაფორმებას „კონსტანცას“ პორტთან. ტვირთნაკადების და სატარიფო მიმართულებით ერთიანი სტრატეგიის შემუშავებას ვცდილობთ. ერთიანი ხედვის გარეშე კონკურენტუნარიანი კორიდორი (დერეფანი) ვერ ვიქნებით“, — განაცხადა ლევან ახვლედიანმა.

შეგახსენებთ, რომ თბილისის აბრეშუმის გზის ფორუმის ფარგლებში „ანაკლიის განვითარების კონსორციუმმა“ ტრანსკასპიური დერეფნის პორტებთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა.

თეონა კენჭიაშვილი

◎ არამზადების გალერეა

ჩვენ შორის დადის ძალად მაცხოვე ვითომ იურისტი, ყალთაბანდი გელა ღურწკაია, არ ენდოთ, პროფესიონალი თაღლითია, აუცილებლად მოგაღორებთ!

თავიდანვე შეგახსენებთ, ძვირფასო მკითხველო, რომ რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები იბეჭდება ავტორთა ხარჯითა და ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ეს შეხსენება კი იმისთვის დაგვჭირდა, რომ გაგვეფრთხილებინე, ძვირფასო მკითხველო, შენც არ დაგემართოს ის ამბავი, რაც ჩვენს რედაქციას დამართა მარტვილელმა თაღლითმა, ძალად თავგაიურისტებულმა ვინმე **გელა ღურწკაიამ,** რომელმაც თვითმმართველობის არჩევნების წინა დღეებში, როგორც მარტვილის კეთილდღეობისთვის მზრუნველმა, კრიტიკული წერილი მოიტანა რედაქციაში და, 20 ოქტომბერს გამომიქვეყნეთო, გვთხოვა, ანუ არჩევნების წინადღეს.

წერილი ეხებოდა მთლიანად მარტვილის მერობის კანდიდატს **ალექსანდრე გრიგალავას,** რომელსაც მარტვილისთვის შეუფერებელ, უღირს კანდიდატად ახასიათებდა **(აქვე გვინდა, რომ ბოდიში მოვუხადოთ ბატონ ალექსანდრე გრიგალავას, რომელიც მარტვილელებმა მეორედ აირჩიეს მერად)**.

ამ, როგორც ჩანს, ვიღაცათა მიერ დაკვეთილ წერილს, იქნებ სულაც სხვათა მიერ დაწერილს, მუქარით ამთავრებს ეს **არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს უძრავი ქონების დაცვის კომიტეტის იურიდიული სამსახურის უფროსი“** (ასეთ ტიტულს აწერს თავის პასკვილს გ. ღურწკაია): მე პროკურატურაში ალექსანდრე გრიგალავას წინააღმდეგ საჩივარი შევიტანე. იმ თანხას, რომელიც მარტვილელებს ამოაცალა, საკუთარი ჯიბიდან გადავახდევინებო, მით უმეტეს, რომ ამ საქმეს 15-წლიანი ვადა აქვსო.

წერილი დაიბეჭდა სარედაქციო რუბრიკით: „მოყვარეს პირში უძრახე“!

წესიერ ავტორად და წესიერივე მოქალაქედ თავმოკატუნებულმა გ. ღურწკაიამ რედაქციას 100 გაზეთიც შეუკვეთა. ამავე დროს თავი მოისაწყლა, ახლა სხვა პიჯაკი მაცვია, წერილისა და გაზეთების გადასახდელი თანხა თან არა მაქვს, ძველში ჩამრჩა და ხვალამდე უნდა მაცალოთო. სხვა რა გზა გვქონდა, ჩვენმა ბუღალტერიამ ხვალამდე აცალა.

მაგრამ ეს ხვალამდე აგერ მთელ ერთ თვეზე მეტ დროდ გაიჭიმა. საქმე იქამდე მივიდა, რომ ამ ამბავში პოლიციაც ჩაერია, მაგრამ როგორც რედაქცია, თაღლითმა გელა ღურწკაიამ პოლიციაც მოაღორა (გამომძიებელი **ვასილ ბასილაძე**).

ეს ტერმინები — **თაღლითი და ყალთაბანდი, ანუ აფერისტი** — თვითონ მარტვილელებმა გვიკარნახეს, როცა პოლიციასთან ერთად ძებნა დავუწყეთ ამ მართლა შუბლისძარღვგაწყვეტილ ვაიმარტვილელს.

იმედია, ამ თაღლითის მამხილებელი წერილის გამო შესაბამისი ორგანოები დროულად გამოეხმაურებიან რედაქციას.

თაღლითებისა და ყალთაბანდების ბოგინი ბოლოს და ბოლოს უნდა შეწყდეს ამ ჩვენს ეგრეთ წოდებულ თავისუფალ, დამოუკიდებელ და დემოკრატიულ საქართველოში, სადაც, დიდად სამწუხაროდ, შესაბამისი კანონების უქონლობის გამო ჯერჯერობით ძაღლი პატრონს ვერ ცნობს...

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია

ლომჯარია — ახალი სახალხო დამცველი

96 მომხრე, 5 წინააღმდეგი — საქართველოს პარლამენტმა სახალხო დამცველის პოსტზე ნინო ლომჯარიას მხარი დაუჭირა. სახალხო დამცველობის მეორე კანდიდატმა გიორგი ფოფხაძემ მხოლოდ 20 ხმა მიიღო 27 კი წინააღმდეგი იყო.

ზონალურ საბჭოში არაპროფესიონალი კადრები მუშაობდნენ!

დეველოპერები კახა კალაძის ინიციატივაზე

— არსებული სახით და შემადგენლობით, როგორიც იყო ზონალური საბჭო, **გასაუქმებელია,** — ასე შეაფასა მენაშენეთა ასოციაციის თავმდომარემ ირაკლი როსტომაშვილმა დედაქალაქის მერის კახა კალაძის ინიციატივა ე.წ. ზონალური საბჭოს გაუქმების შესახებ. როგორც როსტომაშვილმა თქვა, განაშენიანების რეგულირების საბჭოში პროფესიონალი კადრების ნაკლებობა იყო.

„ჩემი აზრით, საბჭოს ფუნქცია ვიღაცამ უნდა შეითავსოს, მაგრამ ამაში მთავარი პროფესიონალიზმია, არსებულ ზონალურ საბჭოში არავის არ ვიცნობ, ვინც საკითხში ჩახედულია და იცის პროექტირება. წარმოიდგინეთ ექიმების კონსილიუმი, სადაც მსჯელობენ პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე, ამ დროს კი კონსილიუმში არც ერთი ექიმი არ არის. საბჭოში იყო ყველა, არქიტექტორის გარდა, შესაძლოა, დიპლომი ჰქონდათ ამ დარგის, მაგრამ შეხება და პრაქტიკა ამ სფეროში არ გააჩნდათ“, — განუცხადა „კომერსანტს“ ირაკლი როსტომაშვილმა.

„კომერსანტი“ დაინტერესდა, რამდენად ეთანხმებიან გადაწყვეტილებას დეველოპერები, რომლებზეც აღნიშნული ცვლილებება პირდაპირ აისახება. როგორც სამშენებლო კომპანია „ჯიდი-ჯი“-ის დამფუძნებელმა **ბეჟან წაქაძემ** განაცხადა, ზონალური საბჭო სექტორისთვის ბიუროკრატიული ბარიერი იყო.

„ზონალური საბჭო იყო სერიოზული დამაბრკოლებელი რგოლი ჩვენი სექტორისთვის. ძალიან დიდხანს უნდებოდნენ პროექტების განხილვას, ახლა იქნება ერთი რგოლი, სადაც ეს პროექტები გადაწყდება, ისედაც ძალიან ბევრი პროექტი დაგროვდა, მითუმეტეს, 41-ე დადგენილებით. რაც ნაკლებია ბარიერები, მით უფრო სწრაფად ვითარდება სექტორი. ეს საბჭო ძველი ფორმით იყო არაეფექტური. მაგალითად, ძველ უბნებში მთაწმინდა, ვერა, რომლებიც დაცული უბნებია, პროექტი ორ საბჭოზე უნდა გასულიყო. მე ძირითადად ცენტრალურ უბნებში ვმუშაობ და აქ ძალიან მიჭირდა. 2 წელიწადია, ვამტკიცებ სასტუმროს პროექტს და ახლა ავიღე ნებართვა. საბჭოს წევრებიდან ნახევარზე მეტს უნდა დაეჭირა მხარი, რომ პროექტი დამტკიცებულიყო, ნახევარი საერთოდ ვერ ერკვეოდა რაზე მუშაობდა, დახედავდა პროექტს, აღმოაჩენდა, რომ ცენტრალური უბანია, გადაწყვეტდა, რომ იქ არ უნდა აშენებულიყო არაფერი და ეგრევე ბლოკავდა პროექტს. ახლა ვფიქრობ, რომ პროფესიონალები შეიკრიბებიან და რეალურად გადაწყვეტენ, სად რა უნდა აშენდეს. ერთხელ და სამუდამოდ უნდა შეიმუშაონ თამაშის წესები როგორ უნდა ვაშენოთ ცენტრში და როგორ გარეუბნებში, ამას უნდა სწრაფი გადაწყვეტა. ამბობენ, რომ სასტუმროები უნდათ ქალაქში და პროექტი 2 წლისთავზე დამიმტკიცეს“, — განაცხადა ბეჟან წაქაძემ.

მერის ინიციატივას დადებითად აფასებს სამშენებლო კომპანია „ივერონის“ დამფუძნებელი არჩილ ჯაყელიც. მისი თქმით, ცვლილებები იმ შემთხვევაში გაამართლებს, თუ რესტრუქტურიზაციის პროცესში ბიზნესისა და საზოგადოების მოთხოვნას გაითვალისწინებენ.

„თუ საბჭოს გაუქმებას ობიექტურად მიუდგებიან და ეს ბიუროკრატიული სისტემა ამოვარდება, ძალიან კარგია. უნდა გაითვალისწინონ, ბიზნესს რა სჭირდება, ნებართვებზე იყო სერიოზული პრობლემები, ზოგჯერ წელიწადიც კი იწელებოდა მისი მიღება. თუ ეს გადაწყვეტილება ჩაჯდება ჩარჩოებში, რომ კომპანიას ან თუნდაც კერძო პირს გაუმარტივდება მშენებლობლობა და ეს ყველაფერი მოხდება უფრო დაჩქარებულად, რა თქმა უნდა, მისასალმებელია“, — განუცხადა „კომერსანტს“ **არჩილ ჯაყელმა.**

როგორც ცნობილია, თბილისის მერმა მიიღო გადაწყვეტილება, ბიუროკრატიის შემცირების მიზნით ე.წ. ზონალური საბჭოს გაუქმებასთან დაკავშირებით. კახა კალაძემ აღნიშნული ინიციატივით თბილისის საკრებულოს უკვე მიმართა.

„მიზანშეწონილად მიმაჩნია თბილისის მერიას დაქვემდებარებული განაშენიანების რეგულირების საბჭოს ე.წ. ზონალური საბჭოს გაუქმება. ამ ინიციატივით მივმართავ შესაბამის ორგანოებს. მოგეხსენებათ, საბჭოს რეკომენდაციების საფუძველზე წლების განმავლობაში მიიღებოდა გადაწყვეტილებები კონკრეტული განაშენიანების რეგულირების გეგმების დამტკიცებისა და კოეფიციენტების მატებასთან დაკავშირებით. ჩვენ დაწყებული გვაქვს სტრუქტურული რეფორმა, მე ამასთან დაკავშირებით რამდენჯერმე ვისაუბრე, რომელიც, რასაკვირველია, აგრეთვე შეეხება ურბანული პოლიტიკის განვითარებასა და არქიტექტურის სამსახურის ფუნქციურ გარდაქმნას. ამ პროცესის დასრულებამდე ზონალური საბჭოს ფუნქციებს მერიის შესაბამისი სამსახურები ჩემი პირადი კონტროლის ქვეშ განახორციელებენ“, — განაცხადა **კახა კალაძემ.**

ნათია სოსიაშვილი

მერია უკანონო მიშენებებს დაანგრევს!

დედაქალაქის ახალი ხელმძღვანელობა უკანონო მიშენებებთან ბრძოლას იწყებს. ეს ბრძოლის მერამდენე ეტაპია, არავინ იცის, მაგრამ ამჯერად მერიაში ირწმუნებიან, რომ საკითხს ერთხელ და სამუდამოდ მოაგვარებენ.

თბილისის მერის კახა კალაძის განცხადებით, დედაქალაქში ძალიან მოხშირდა უკანონო და პროექტის დარღვევით მშენებლობები, რაც ქალაქის იერსახეს ამახინჯებს. ამიტომ მერია შესაბამის ნაბიჯებს გადადგამს.

„ყურადღება მინდა გავამახვილო უკანონო, უნებართვო და პროექტის დარღვევით მშენებლობებზე. მინდა, ზედამხედველობის სამსახურს დავავალო, მაქსიმალური ყურადღება იყოს გამახვილებული ამ საკითხზე და შესაბამისი მკაცრი ზომები მიიღოთ, მათ შორის დროული დემონტაჟის მიმართ. სამწუხაროდ, ძალიან მოხშირდა ქალაქში ასეთი შენობა-ნაგებობები, ეს ყველაფერი ამახინჯებს დედაქალაქის იერსახეს“, — აღნიშნა კახა კალაძემ და ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელს გიორგი ბაგრატიონს სთხოვა საკითხთან დაკავშირებით მკაცრი რეაგირება მოახდინონ. მანაც რეაგირება არ დაახანა და პირდაპირ განაცხადა, რომ დედაქალაქში უკანონოდ აშენებული შენობა-ნაგებობები დემონტაჟს დაექვემდებარება.

„საკითხს შევისწავლით და შენობების დემონტაჟს დავიწყებთ. ყურადღების ქვეშ მოექცევა ყველა ადგილი და მას შემდეგ მივიღებთ გადაწყვეტილებას. თავდაპირველად ექნებათ შესაბამისი მითითება. ბევრი დადგენილება უკვე გამოცემული გვაქვს. ვინც ემორჩილება, თავად აკეთებს დემონტაჟს, ვინც არ ემორჩილება, ჩვენ აღსრულების სამსახურთან ერთად განვახორციელებთ დემონტაჟს.



უკანონო მშენებლობები არის რამდენიმე სახის: სახელმწიფო მიწაზე აშენებული, რომელსაც ნებართვა არ გააჩნია და ასევე კერძო მიწაზე აშენებული, რომელიც ნებართვის დარღვევითაა აშენებული“, — განაცხდა ბაგრატიონმა და დასძინა, რომ ასეთი უკანონო ნაგებობები თბილისის ყველა უბანშია.

უკანონო მიშენებასთან დაკავშირებით დედაქალაქში მართლაც სავალალო ვითარებაა. ბევრი მათგანი საფრთხის შემცველიცაა. წლების წინათ საცხოვრებელ სახლებზე მიშენების უმრავლესობას უკანონოდ მიიჩნევს საკრებულოს ყოფილი დეპუტატი მანუჩარ მაჩაიძე, თუმცა რადგანაც ეს მშენებლობა მოსახლეობამ წლების წინათ აწარმოა, ყველა მაშინდელი პირობების შესაბამისად მოქმედებდა.

„ისეთი ნაგებობები, რომლებიც ავარიული და საშიშია, აუცილებლად უნდა დაინგრეს. ჯერ კიდევ კომუნისტების დროიდან მოყოლებული და შემდეგ წლებშიც თბილისში მიშენების ნახევარზე მეტი უკანონო იყო. ისინი დღემდე არ დანგრეულა. ეს იმიტომ, რომ მაშინ სრულიად სხვა კანონები მოქმედებდა. თუ ნაგებობა არ ამახინჯებს ფასადს ან არ ქმნის სხვა პრობლემას, აღარ არის დანგრევის ან დაჯარიმების აუცილებლობა“, — განაცხადა მაჩაიძემ.

პარლამენტში ცოტა სხვაგვარად უყურებენ ამ პრობლემას. უკანონო მიშენებებთან დაკავშირებული სპეციალური საკანონმდებლო ინიციატივაც შეიმუშავეს, რომლის მიხედვითაც საჯარიმო სანქციებისგან თავისუფლდებიან ის სამართალდამრღვევები, რომლებმაც საცხოვრებელ კორპუსებზე დაშენებები ან მიშენებები, სხვენებში ოთახები ან სათავსოები მოაწყვეს. საქმე ეხება 2007 წლიდან 2015 წლამდე უნებართვოდ ან სანებართვო პირობების დარღვევით წარმოებულ მშენებლობებს.

მაღალსართულიან კორპუსებში მცხოვრები მოქალაქეები, რომლებსაც საცხოვრებელ ფართებზე ე.წ. უკანონო მიშენებები აქვთ, ფინანსური ჯარიმისა და საურავისგან თავისუფლდებიან.

დანიელ ბეძაური

რა ჯდება ბათუმის საახალწლო მზადება?

ბათუმის მერიამ საახალწლო ღონისძიებისთვის მზადება დაიწყო. ქალაქის მორთვისა და მთავარი სცენისთვის დეკორაციების შესყიდვის მიზნით, ბათუმის კულტურის ცენტრმა ელექტრონული ტენდერი გამოაცხადა, განცხადებების მიღების ბოლო ვადა 4 დეკემბერია. შესყიდვის ბიუჯეტი კი — 317 000 ლარი.

ბათუმში დაგეგმილ საახალწლო კონცერტებში, სავარაუდოდ, ჯგუფები „მგზავრები“ და „გამოუვალი მდგომარეობა“ მიიღებენ მონაწილეობას, რისთვისაც ბათუმის ბიუჯეტიდან ისინი, ჰონორარის სახით, 83 750 ლარს მიიღებენ. ბათუმის კულტურის ცენტრის ინფორმაციით, „მგზავრებს“ 67 500 ლარს, ხოლო „გამოუვალ მდგომარეობას“ 16 250 ლარს გადაუხდიან.

„ქალაქის საახალწლო-სადღესასწაულო ღონისძიებების ორგანიზების მიზნით ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით შეიქმნა კომისია, რომელსაც დაევალა საახალწლო დღესასწაულთან დაკავშირებით სხვადასხვა ღონიძიებების მაღალორგანიზებულად ჩატარების მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება. კომისიის გადაწყვეტილებით ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ორგანიზებულ საახალწლო კონცერტში მთავარ მონაწილედ დაგეგმილია მუსიკალური ჯგუფი „მგზავრების“ კონცერტი, რაც ხელს შეუწყობს ღონისძიების მასშტაბურობასა და მოსახლეობის დაინტერესების ზრდას“ — აღნიშნულია შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდზე განთავსებულ „ბათუმის მუსიკალური ცენტრის“ განაცხადში.

მუსიკალური ცენტრის ინფორმაციით, „მოლაპარაკებით და ურთიერთშეთანხმებით განისაზღვრა შესყიდვის სავარაუდო ღირებულება, რომლითაც გათვალისწინებულია ჯგუფის ყველა ხ7ჯ წევრის ჰონორარი. მომსახურების გაწევა მოხდება 2017 წლის 31 დეკემბერს. ამასთან, ვინაიდან ჯგუფი არის მოთხოვნადი და საახალწლო დღესასწაულთან დაკავშირებით აქვთ სხვა შეთავაზებებიც, საჭიროა დროულად ხელშეკრულების გაფორმება“.

ქართული ბიზნესის „მსუქანი“ რეიტინგი და „მჭლე“ ეკონომიკა

ექსპერტთა ერთი ნაწილის აზრით, დღეს ჩვენ გვყავს ხელისუფლება, რომელიც ყველა მიმართულებით, მათ შორის ეკონომიკური მიმართულებითაც, ცდილობს, არაფერი გააფუჭოს, მაგრამ... მნიშვნელოვანი არც არაფერი გააკეთოს.

არ მინდა, მკითხველმა ისე გაიგოს, თითქოს მე პირველი ვარ, ვინც ქართული ბიზნესის მთელ მსოფლიოში გახმაურებულ რეიტინგზე საუბრობს. არა, ბატონებო, სულ ახლახან მასმედიით საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა, რომ მსოფლიო ბანკის 2017 წლის ანგარიშის მიხედვით, ბიზნესის კეთების თვალსაზრისით, საქართველოს რეიტინგი 7 ადგილით გაუმჯობესდა და ამ მაჩვენებლით ჩვენი ქვეყანა ევროპისა და ცენტრალური აზიის ერთპიროვნული ლიდერი გახდა. მსოფლიოს 190 ქვეყანას შორის მე-16 ადგილიდან მე-9 ადგილზე გადასვლით, საქართველო იმ ქვეყანათა ათეულშია, სადაც ბიზნესის კეთება და, შესაბამისად, საინვესტიციო გარემო, მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესოდ შეფასდა.

როგორც ეკონომიკის სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაშია ნათქვამი, **„მსოფლიო ბანკის რეიტინგში საქართველოს წარმატება მთავრობის ეფექტურმა და კოორდინირებულმა მუშაობამ განაპირობა. საქართველოს ხელისუფლებამ უკვე განახორციელა და კვლავ აგრძელებს რეფორმებს, რომლებიც კიდევ უფრო გააუმჯობესებს საქართველოს პოზიციას მსოფლიო ბანკის მომდევნო წლის რეიტინგში. წინა წელთან შედარებით, საქართველომ გადაასწრო ისეთ ქვეყნებს, როგორებიცაა შვედეთი, მაკედონია, ესტონეთი, ფინეთი, ავსტრალია, ტაივანი (ჩინეთი), ლატვია“**. ქვეყნის პრემიერის გიორგი კვირიკაშვილის განცხადებით, **„არის ყველა პირობა, რომ გაისად კიდევ უფრო მეტი ეკონომიკური ზრდა გვქონდეს“**.

ხედავთ, რა ხდება? გასკდით ახლა გულზე სატანა და ენაჭარტალა ნაცბანდელებო! აბა, რა გეგონათ, მსოფლიო ბანკი, რომელიც თავის დროზე თქვენი რეფორმატორული მიღწევების მაპიარებელი იყო, სამარეში ჩამოგყვებოდათ?! ახლა რას იზამთ, უკანვე ალოკავთ თქვენეულ ტყუილებს, რომ ქოცების მმართველობის პერიოდში საქართველო ერთ ადგილზე გაიყინა, ეკონომიკა დამყაყდა, ინვესტორები გაიქცნენ, ხალხი კი, რომელსაც გამდიდრებას ჰპირდებოდნენ, ფაქტობრივად, დაიმშაო?! თურმე რეალობა ისეთი კი არაა, როგორსაც ქოსატყუილა ნაცები გვიხატავდნენ, უფრო სწორად, ლაყბობდნენ, არამედ სრულიად საპირისპირო ყოფილა. ნაცების მიერ შერქმეული „უნიათო“ და „უსაქმური“ მეოცნებენი თურმე საქვეყნო საქმეს აკეთებდნენ, რაც ოპოზიციაში ჩასაფრებული მიშარასტებისგან განსხვავებით, შეუმჩნეველი არ დარჩენიათ მსოფლიო ბანკის მაღალპროფესიონალ სპეციალისტებს.

ასეა, საქართველომ, რომელსაც ადრე მსოფლიოში კანტიკუნტად თუ ვინმე იცნობდა, ახლა „მსუქანი“ რეიტინგის ისეთი „ტალავერი“ გააშენა, მთელი დუნია სანამყენე ჯიშებს აქედან ეზიდება. ეს ეკონომიკური და საგანმანათლებლო რეფორმებიო, შენ ხარ ჩემი ბატონი, ეს ბიზნესის საკეთებლად უიოლესი პირობებიო, ეს „აწარმოე საქართველოშიო“ და კიდევ რა აღარ, რამაც საქართველოს რეიტინგული ქვეყნის სწორუპოვარი იმიჯი შეუქმნა.

თუმცა ერთია, ხელისუფლება რა შესაძლებლობებს სთავაზობს ბიზნესმენებს, უცხოელ და ადგილობრივ ინვესტორებს და, მეორე, რეალურად ქვეყანაში რა პირობებია შექმნილი ბიზნესის საკეთებლად. როგორც წესი, უცხოური ეკონომიკური ინსტიტუტები თუ ექსპერტები, ამა თუ იმ ქვეყნის რეიტინგს საზღვრავენ იმ კანონმდებლობის მიხედვით, რომელიც ქვეყანას აქვს მიღებული. ამ მხრივ, იცოცხლეთ, მსოფლიოში ბევრი ვერავინ შეგვეტოქება. გადახედეთ ჩვენს კანონმდებლობას და უმალვე დარწმუნდებით, რა იოლია საქართველოში ბიზნესის კეთება (გინდა, ჩიტ-ჩიორას ბუდე ჩაუდგამს და გინდ, მეწარმეს აუშენებია ქარხანა!). ქვეყანაში, სადაც ადრე მოქმედებდა ათასამდე ლიცენზია, იმათგან სულ თითებზე ჩამოსათვლელიღა დარჩა. ბიზნესს ჩამოსცილდა ძველად არსებული ნებართვების მთელი ნუსხა და ბიუროკრატიული ბარიერები. მეწარმეს შეუძლია ერთ დღეში, სულაც რამდენიმე საათში დაარეგისტრიროს საკუთარი ფირმა (საწარმო), მაგრამ ვაი შემდეგ მუშაობის დაწყებას და საქმიანობის სარფიანად წარმართვას. ეს საკუთარ თავზე გამოსცადეს როგორც ადგილობრივმა მეწარმეებმა, ისე უცხოელმა ინვესტორებმა, რომელთა უდიდესი ნაწილი ამჯობინებს საქართველოში უძრავი ქონების შეძენას, მასში თანხის დაბანდებას და არა წარმოების განვითარებას.

მთელ მსოფლიოში ცნობილია, ეკონომიკას ქმნის მცირე და საშუალო ბიზნესი, რომელიც ამრავლებს საწარმოებს და ასაქმებს ადამიანებს, ჩვენთან კი რატომღაც არც შევარდნაძის და არც სააკაშვილის ხელისუფლებას საშუალო ფენა არ ეპიტნავებოდათ. მათ „ტრადიციას“ არც ამჟამინდელი ხელისუფლება ღალატობს. ამჟამად საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესი ერთ წერტილზეა გაყინული, რასაც ოფიციალური სტატისტიკაც ადასტურებს:

„საქსტატის“ ინფორმაციით, 2013 წელს მცირე ბიზნესში დასაქმებული იყო 138 ათასი კაცი, 2014 წელს – 168 ათასი, 2016 წელს კი მათი რაოდენობა 148 ათასამდე შემცირდა. ბოლო წლებში დასაქმებულთა რაოდენობამ იკლო საშუალო ბიზნესშიც. ამ სექტორში თუ 2015 წელს 100 ათასი კაცი იყო დაკავებული, შარშან მათმა რაოდენობამ მხოლოდ 96 ათასი შეადგინა. საერთო ჯამში მცირე და საშუალო ბიზნესში დასაქმებულთა რაოდენობა ქვეყანაში 25 ათასით შემცირდა, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოში ეკონომიკა ვერ განვითარდება და ქვეყანა ჭაობიდან ვერასდროს ამოვა.

ყოველწლიურად ქვეყანაში ათეულმილიონობით ლარის გრანტი შემოდის და არავინ უწყის, ეს თანხა ვის ან რას ხმარდება. გამოდის, რომ ამხელა ფული მხოლოდ ტრეინინგებში იხარჯება, რადგან წინსვლა ამ სფეროში არაფერს ეტყობა. მავანი შემომედავება და შემახსენებს პრემიერ კვირიკაშვილის ინიციატივას „აწარმოე საქართველოში“, ან სოფლის მეურნეობის მხარდამჭერ სხვა პროგრამას, რომლებმაც რაღაც იმედი გააჩინეს, მაგრამ ჯერჯერობით კვალი ვერაფერს დაამჩნიეს.

მოდით, ვიყოთ რეალურნი და ჯანსაღი თვალით შევხედოთ ჩვენს გაჭირვებულ ეკონომიკას, იოლად საკეთებელ ბიზნესს, რომელმაც უცხოეთში „მსუქანი რეიტინგის“ იმიჯი დაიმკვიდრა. ეს ყველაფერი ხომ არ გაგონებთ ანდაზას თეთრ თხაზე, რომელიც მსუქანი ეგონათ, მაგრამ დაკლეს და მჭლე გამოდგა! ასეთივეა ჩვენი ეკონომიკაც, რომელიც გარეგნულად „მსუქნად“ გამოიყურება, ფაქტობრივად კი, „მჭლე“ და გახრიოკებულია. სხვანაირი ვერც იქნება, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ **ჩვენ არ ვართ მწარმოებელი ქვეყანა, ვაწარმოებთ ძალიან ცოტას და მოვიხმართ ძალიან ბევრს, უცხოეთიდან შემოგვაქვს გაცილებით მეტი პროდუქცია, ვიდრე გაგვაქვს. ექსპერტთა ერთი ნაწილის აზრით, დღეს ჩვენ გვყავს ხელისუფლება, რომელიც ყველა მიმართულებით, მათ შორის, ეკონომიკური მიმართულებითაც, ცდილობს არაფერი გააფუჭოს, მაგრამ არც არაფერი გააკეთოს.** ერთი მხრივ, ტარდება ჰუმანური ლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკა, მაგრამ, მეორე მხრივ, ამას შევყავართ ჭაობში. არანაირი სისტემური რეფორმები არ ტარდება, ეკონომიკის რეალური სექტორის ტირაჟირება ძალიან სუსტია და ფრაგმენტული. ამიტომ ჩვენ მარტივად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეკონომიკა არა გვაქვს, აი, ეს არის სამწუხარო რეალობა.

ამ რეალობის ანარეკლია ეროვნული ვალუტის სავალალო მდგომარეობა, რომელიც ნიავის ყოველ შემოქროლვაზე ლერწამივით ქანაობს. ლარის პერმანენტულ დევალვაციას ზოგი ხელისუფლების უნდილ ფულად-საკრედიტო პოლიტიკას აბრალებს, ზოგი – ეროვნული ბანკის უგერგილობას, ზოგიც – კომერციული ბანკების მანიპულაციებს. რა თქმა უნდა, ლარის წარამარა გაუფასურებაში ყველა ამათგანს წილი მიუძღვის. **დღესაც ვალუტის კურსი ისევ ყალიბდება ბლუმბერგის ბირჟაზე ვაჭრობით, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ეროვნული ბანკი, ნაცვლად იმისა, რომ მონეტარული პოლიტიკის ეფექტიანობასა და დასაქმებაზე იყოს ორიენტირებული, რამდენიმე კომერციული ბანკის ზედამხედველად და ხელშემწყობად გვევლინება. ამიტომაც, ლარის კურსი არის ისეთი, როგორიც ბანკებს უნდათ. და მაინც, ლარის არამდგრადობის ფუნდამენტური მიზეზი გახლავთ ის, რომ ეკონომიკა არა გვაქვს!**

ასეთ დროს, როცა ქვეყნის ეკონომიკა გაჩერებულია (წლიურად 4-პროცენტიანი ზრდა ბევრი არაფრის მთქმელია), ხომ არ აჯობებდა ამ ჩვენს **მთავარ სტრატეგიულ პარტნიორს (აშშ)**, რუსეთის აგრესიული პოლიტიკის გამო გამოცხადებული ამდენი შეშფოთების პარალელურად, საქართველოს ხელისუფლებისთვის მაგრად აეწია ყური, ცოტა მეტი ინვესტიციები გამოეყო, აეშენებინა საწარმოები, დაესაქმებინა ხალხი და მჭლე ეკონომიკა ამერიკულად მოესუქებინა!

როგორც ჩანს, ამის აუცილებლობას მიხვდა ამერიკელი ანალიტიკოსი მაიკლ მალური, რომელმაც მოუწოდა ამერიკის ადმინისტრაციას, ითანამშრომლოს სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან ეკონომიკის სფეროში.

თქვენს პირს შაქარი, ბატონო მაიკლ! თუ ამერიკა საქართველოს პირველ რიგში ეკონომიკურ დახმარებას აღმოუჩენს, ამას რა ჯობს. ეს სურვილი შესაძლოა, დონალდ ტრამპის სამოღვაწეო პროგრამასაც უკავშირდებოდეს, რომელმაც ერთ-ერთ მთავარ ამოცანად ქვეყანაში საშუალო ბიზნესის განვითარება და ხალხის დასაქმება განიზრახა. ეს გეზი, ალბათ, ზუსტად მოერგება საქართველოს ხელისუფლებასაც, რომელმაც დროა, მოუკლოს „მსუქან რეიტინგებზე“ ლაპარაკს და მოუმატოს „მჭლე“ ეკონომიკის წამოსაწევ რეალურ საქმეთა კეთებას.

ოთარ ხუციშვილი

კორპუსების მიწისქვეშა კომუნიკაციების რეაბილიტაცია გრძელდება

ზღვის უბანში (თემქა) საცხოვრებელი კორპუსების მიწისქვეშა კომუნიკაციების რეაბილიტაცია გრძელდება. კანალიზაციის შიდა ქსელი გამოიცვალა მე-3 მ.რ, მე-2 კვ. 33-ე კორპუსში, სადაც 110 მ სიგრძეზე მოეწყო ახალი მილები და 14 სათვალთვალო ჭა დამონტაჟდა. მიწისქვეშა კომუნიკაციების რეაბილიტაციის შემდეგ კორპუსის წინ ასფალტის საფარის დაგება დაიწყო. საგზაო სამუშაოებს ნაძალადევის რაიონის გამგებელი ირაკლი ხელაძე ადგილზე გაეცნო.

„ამ კონკრეტული პროექტით 126 ოჯახს მოუგვარდა პრობლემები, რომლებიც წლების განმავლობაში აწუხდებათ. ექვსსადარბაზოიან კორპუსში მთლიანად გამოიცვალა სისტემა. მოძველებული შიდა ქსელის გამო კორპუსის მიმდებარედ იყო ანტისანიტარია, რაც ადგილობრივ მოსახლეობას ძალიან აწუხებდა. ამ მხრივ უკვე მოსახლეობას აღარ შეექმნება დისკომფორტი,“ – განაცხადა ნაძალადევის რაიონის გამგებელმა.

ინფრასტრუქტურული პროექტი ნაძალადევის რაიონის გამგეობის თანადაფინანსებით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში განხორციელდა, რისთვისაც გამგეობის ბიუჯეტიდან 55 233 ლარი გამოიყოფა.

◎ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში

დავიცვათ საზოგადოება კატასტროფისგან

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია აქტიურად თანამშრომლობს აკადემიების საერთაშორისო გაერთიანებასა (IAP) და აკადემიების ევროპულ (ALLEA) ასოციაციასთან. ამ თანამშრომლობის საგანი უაღრესად მნიშვნელოვანია, დღევანდელი გაგებით, თანამშრომლობის მიზანია კატასტროფებისაგან დაცული საზოგადოების აშენება.

უბედურება შეიძლება თავს დაატყდეს პიროვნებას, სოფელს, რეგიონს, სახელმწიფოს. საფრთხეც შეიძლება სხვადასხვა ხასიათისა იყოს, ბუნებრივი ან ადამიანის მიერ შექმნილი. ყველა ამ შემთხვევას მოიცავს და განიხილავს გაერთიანებული ერების „კატასტროფების რისკის შემცირების 2015-2030 წლების ჩარჩო-პროგრამა“, ე.წ. სენდაის პროგრამა. მისი დევიზი ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ — საფრთხე კატასტროფად არ უნდა მოგვევლინოს.

სენდაი ქალაქია იაპონიაში, სადაც ხელმოწერილი იქნა აღნიშნული პროგრამა. ხელმომწერთა შორის არის საქართველოს მთავრობაც, რომელიც კურირებს ამ პროგრამის რეალიზაციას საქართველოში. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ფუნქცია, როგორც პროგრამის ერთ-ერთი შემსრულებლისა, არის მსოფლიოს სამეცნიერო და ტექნოლოგიური მიღწევებისა და გამოცდილების გადმოტანა საქართველოში.

სენდაის პროგრამის წარმატებით შესრულებაში განსაკუთრებითაა ხაზგასმული სამეცნიერო ორგანიზაციების როლი. ამიტომ აკადემიების საერთაშორისო გაერთიანებამ (**IAP**) სხვადასხვა ქვეყნებიდან (იაპონია, ავსტრალია, ირანი, ალბანეთი, შეერთებული შტატები, სამხრეთ აფრიკა, ჩინეთი, საქართველო, კანადა, ბრაზილია, იტალია, ინდოეთი, ინგლისი, მექსიკა) ჩამოაყალიბა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც ვრცელი რეკომენდაციების სახით დაამუშავა დოკუმენტი. ამ დოკუმენტს განიხილავს გაერთიანებული ერების ორგანიზაცია და დაამტკიცებს, როგორც სახელმძღვანელო დოკუმენტს ყველა სახელმწიფოსათვის. ამ ექსპერტთა ჯგუფში საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წარმომადგენლის სტატუსით მონაწილეობდა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გურამ გაბრიჩიძე.

ქვეყანაში უსაფრთხოების საერთაშორისო პროგრამის წარმატებით განხორციელების მიზნით, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტმა თანამშრომლობის წინადადებით მიმართა აკადემიების ევროპულ გაერთიანებას (**ALLEA**)-ს. ეს წინადადება განიხილა ევროპული გაერთიანების ხელმძღვანელმა ორგანომ, მოიწონა ინიციატივა და რეალური მექანიზმების შესამუშავებლად წერილი გადაუგზავნა ყველა ევროპულ აკადემიას. განიხილება საკითხი ევროპის მეცნიერების განვითარების ფონდის (**Horizon** 2020) ხაზით ევროპის სტრუქტურებთან ერთობლივი გრანტის მოპოვების თაობაზე.

◎ საშვილიშვილო ქართული საქმე

ავთანდილ მჭედლიშვილი:

ახალ მუზეუმს მძლავრი ფესვები ექნება

ახლო მომავალში დედაქალაქის მუზეუმთა ერთიან ოჯახში მატება რომ იქნება და რუსთაველის პროსპექტზე ოდესღაც არსებული მხატვრის სახლი კვლავ მხატვრული კერის სტატუსს რომ აღიდგენს, ჩვენი გაზეთის ერთგულ მკითხველს კარგად მოეხსენება. ამ ღირსშესანიშნავ მოვლენასთან დაკავშირებით თავიანთი მოსაზრებები გამოთქვეს ჩვენი შემოქმედებითი ინტელიგენციის გამორჩეულმა წარმომადგენლებმა — არქიტექტორებმა, ჟურნალისტებმა, ფერმწერებმა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დღევანდელი ნომრის სტუმარი გახლავთ ცნობილი მოქანდაკე ავთანდილ მჭედლიშვილი, რომელმაც ჯერ თბილისის სამხატვრო აკადემია დაამთავრა, შემდეგ სწავლა ლენინგრადში გაგრძელა და მისი შემოქმედებითი საქმიანობაც, ძირითადად, რუსეთის „ჩრდილოეთ დედაქალაქში“ წარიმართა.

— მსოფლიოს უკლებლივ ყველა მუზეუმს მოღვაწეობის გარკვეული სპეციფიკა ახასიათებს, ერთგვარად განსაზღვრული მოღვაწეობის პრიორიტეტები გააჩნია. დამაარსებელს თუ მეპატრონეს გარკვეული აქვს, თუ რა არის მისი მუშაობის სტრატეგიული მიმართულება — ეს იქნება ხელოვნების გარკვეული პერიოდი, მისი რომელიმე მიმდინარეობა თუ ცალკე აღებული ფერმწერთა ჯგუფი, ანდა ერთი კონკრეტული მხატვარი. აქედან გამომდინარე, მუზეუმები ხელოვნების შესაბამის ნიმუშებს იძენენ და გამოფენენ. ამ დროს ზოგჯერ საქმე გვაქვს სახელოვან, ან უბრალოდ, პოპულარულ, ხანდახან კი სრულიად უცნობ მხატვრებთან, რომელთა ნამუშევრები მხოლოდ შემდგომ იხვეჭენ დიდებას.

მხატვრულ ქმნილებათა შეძენა-შეგროვებით მსოფლიოში უამრავი შეძლებული ხალხია დაკავებული. ცხადია, ასეთები ჩვენშიც არიან, მაგრამ მათი აბსოლუტური უმრავლესობა ამას საკუთარი კერძო კოლექციის შესავსებად აკეთებს, ანდა, უბრალოდ, ამ გზით კაპიტალს აბანდებს. ბატონი გია ჯოხთაბერიძე კი მათში ერთადერთი კაცი აღმოჩნდა, ვინც მთელი მუზეუმის შექმნა გადაწყვიტა, სადაც თანამედროვე ქართულ ფერწერულ სიმდიდრეს უყრის თავს. მისი მოღვაწეობა, არსებითად, ქველმოქმედებაა — ცალკეულ მხატვართა ნამუშევრების შეძენა ხომ, ფაქტობრივად, მატერიალურად მხარში ამოდგომაა, მთელი რიგი შესანიშნავი შემოქმედის ძვირფასი სამხატვრო ალბომი კი მათი პოპულარიზაციის საუცხოო ხერხია.

ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ მსგავსი რამ საქართველოში არც არავის გაუკეთებია და ეს საქციელი ამ შემოქმედებითი ძალების გაფურჩქვნის ხანაში მყოფ კაცს დიდადაც შვენის. ბედნიერი ვარ, რომ ახალი მუზეუმის გახსნას მოვესწრები, რაც უდიდესი მნიშვნელობის საქმეა დედაქალაქისთვისაც და ერთიანად საქართველოსთვისაც. ნურც ის გამოგვრჩება მხედველობიდან, რომ რაგინდ შეძლებულიც იყოს კაცი, ახალი მუზეუმის დაფუძნება ძალიან ძნელი საქმეა.

ისიც მინდა გითხრათ, რომ როცა კი ყოფილი მხატვრის სახლის ადგილზე ახალი მუზეუმის მშენებლობა დაიწყო, ამ წამოწყების მიმართ გარკვეული სკეპტიკური დამოკიდებულება დამეუფლა, რაც პირველ ყოვლისა, მისი ადგილმდებარეობით იყო გამოწვეული, მაგრამ ახლა, როცა ახალი მუზეუმის ექსტერიერი დასრულებულია და უკვე შიდა სამუშაოებიღა მიმდინარეობს, უნდა ვაღიარო, რომ ის ისე კოხტად „ჩაჯდა“ რუსთაველის პროსპექტის უაღრესად დახვეწილ „დეკორაციაში“, თითქოს დროებით სადღაც „გასული“ დიდი ხნის წინათ აშენებული ნაგებობა სამკვიდროზე მობრუნებულიყოს.

აქვე აუცილებლად მინდა აღვნიშნო, ჩემი აზრით, მეტად საგულისხმო მოსაზრება: მსოფლიოს უდიდესი და ულამაზესი ქალაქების მთლიან განაშენიანებას ერთიანი მზერა რომ მოავლოთ, მათ არქიტექტურულ პალიტრაში იმდენი ეკლექტიკაა, იმდენნაირი სტილია ერთმანეთში აღრეული, რომ თითქოს დისჰარმონია უნდა სუფევდეს, არადა, ყოველივე ამის მიუხედავად, თითოეული მათგანი გამორჩეულად მიმზიდველად გამოიყურება. რაც შეეხება კონკრეტულად ახალ გალერეას, განსაკუთრებით გუდიაშვილის მხარის თანამედროვე ექსტერიერს აღვნიშნავდი.

ბუნებრივია, მუზეუმისთვის უპირველესი მნიშვნელობა მაინც არა იმდენად შენობის არქიტექტურულ ღირსებებს, რამდენადაც შიდა მოწყობას აქვს, რომელსაც უაღრესად პროფესიული მიდგომა სჭირდება. საერთოდ კი მუზეუმში, როგორც წესი, რამდენიმე დარბაზია ხოლმე, რომელთაც თითოეულ კუთხეს ხელოვნების ამა თუ იმ ნიმუშის შესაფერისი განათება აქვს. ამდენად, როგორ იქნება ეს საკითხი გადაწყვეტილი ახალ მუზეუმში, ამას ახლო მომავალში ვიხილავთ.

კიდევ ერთ გარემოებაზე მინდა თქვენი ყურადღების გამახვილება: ზოგადად თუ ვიტყვით, მუზეუმი ჩვენს დროში საკმაოდ სარფიანი საქმიანობაა. მაგალითისთვის შემიძლია გითხრათ, რომ ჩვენმა სასიქადულო მხატვარმა ზურაბ წერეთელმა, გარდა იმისა, რომ მუზეუმი თბილისშიც დააარსა, მანამდე მოსკოვში შვიდი მუზეუმი გახსნა, რომლებიც მუდმივად მნახველებით არის გადატვირთული, დამთვალიერებელთა ძირითად მასას კი ტურისტები შეადგენენ.

თქვენ მეკითხებით, განა რამდენი ტურისტი უნდა ეწვიოს მუზეუმს ყოველდღიურად, რომ მისი ადმინისტრაცია ხელოვნების ნიმუშების მოვლა-პატრონობას, საცავებში სათანადო პირობებში შენახვას, პერსონალის ხელფასებსა და უამრავ სხვა ხარჯს აუვიდეს. გეტყვით, რომ საამისოდ გამართული მენეჯმენტია საჭირო. მთავრობასთანაც და ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასთანაც აუცილებელია მუზეუმის მენეჯერთა გააზრებული, მიზანმიმართული მუშაობა მნახველთა მოსაზიდად. ვთქვათ, რუსეთში თითქმის არც ერთი მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ოფიციალური დელეგაცია არ ჩადის, პუშკინის სახელობის მუზეუმი რომ არ მოანახულებინონ. ამდენად, იქაურობას დღეში დაახლოებით 200-მდე ჯგუფი სტუმრობს, ბილეთი კი ჩვენს ფულზე დაახლოებით 10 ლარის ფარგლებში ღირს. ამდენად, თუ რა თანხა შედის ყოველდღიურად მუზეუმის სალაროში, თავადვე შეგიძლიათ განსაზღვროთ. იგივე მოდელი, ვფიქრობ, ჩვენშიც უნდა ამუშავდეს და ეს, ცხადია, მხოლოდ ახალ მუზეუმს არ ეხება.

აუცილებლად ისიც მინდა ვთქვა, რომ დღესდღეობით დიდად პოპულარული სწორედ რომ თანამედროვე სახვითი ხელოვნებაა, რაც უწინ ნაკლებად იყო და ყველაზე მეტად რაც გულს მიხარებს, ისაა, რომ ჩვენში ნიჭიერ ახალგაზრდა ფერმწერებისა და მოქანდაკეების მძლავრი ტალღა წამოვიდა, ეს კი მომავალ მუზეუმს უდავოდ ფესვების გვარიანად მომძლავრებას შეუწყობს ხელს.

თანამედროვე ხელოვნებისადმი ინტერესის გაზრდა არა მარტო ჩვენში აღინიშნება, ეს ტრენდი მთელ მსოფლიოშია თვალსაჩინო. მაგალითად, თანამედროვე შემოქმედებისთვის თავისი საგამოფენო ფართების დიდი ნაწილი აქვთ გამოყოფილი პლანეტის ყველაზე თვალსაჩინო მუზეუმებს და მათ უამრავი ხალხი სტუმრობს, რისთვისაც გრძელ რიგებშიც უწევს დგომა. ამდენად, თუკი ახალგაზრდა ქართველ შემოქმედთა უაღრესად მძლავრ პოტენციალს გავითვალისწინებთ, მათ ნამუშევართა სანახავად ახალ მუზეუმს ძალიან ბევრი მნახველი ეყოლება, რომელიც მას არა ერთხელ, არამედ მრავალჯერაც ესტუმრება, ვინაიდან ჭეშმარიტი ხელოვნების ნიმუშის ერთი და ორი ნახვა მუდამ მხოლოდ გაცნობითი ხასიათისაა, მათთან ნამდვილი „დამეგობრება“ და, მით უმეტეს, „საუბარი“, მხოლოდ შემდგომი შეხვედრების დროს იწყება.

ესაუბრა
ოთარ ტურაბელიძე

მწყემსი საქართველოსი

ორმოცი წელი ილია მეორის საპატრიარქო ტახტზე აღსაყდრებიდან

„... დიდ არს ძალი სიყვარულისა, რომელი მორჩილ ჰყოფს გონებასა, შეკადრებად შეუკადრებელთაცა“.

არსენ ბულმაისიმისძე
საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი XIII ს. პირველ ნახევარში

დღეს კმაყოფილებით აღვნიშნავთ, რომ წარსულის პატივისცემით, დღევანდელობაზე ზრუნვით და მომავლის რწმენით ხალხს მიუძღვის ქართული ეკლესია, რომელსაც სათავეში უდგას ღვთისგან გამორჩეული, 60 წელი ბერობაში მყოფი, 40 წელი კათოლიკოს-პატრიარქად აღსაყდრებული, 85 წლის ქრისტესმიერი სიყვარულით სავსე ადამიანი... დიდი მწყემსი ქართველი ერისა, უწმიდესი და უნეტარესი ილია II, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი.

„... ვინც აიმაღლებს თავს, დამდაბლდება, და ვინც დაიმდაბლებს თავს, ამაღლდება“ (სახარება მათეს, XXIII, 12) – სახარებისეული ეს სიტყვები კრედოა ილია II-ისათვის. პატრიარქი თავმდაბლობის მაგალითს თავად აძლევს საზოგადოებას, ერსა და ბერს; მოინანიებს ერის ცოდვებსა და მხურვალე ლოცვებს აღავლენს. სულის შემძვრელად შთამბეჭდავია უწმიდესისა და უნეტარესის მიერ შესრულებული ლოცვა სინას მთაზე, ე.წ. წმიდა მწვერვალზე. სწორედ იქ, სადაც გამოეცხადა უფალი ორმოცი დღე მარხულ მოსეს და უბოძა ათი მცნება ორ ფიქალზე ამოტვიფრული. სწორედ ამ მთაზე ავიდა ილია II. ფეხშიშველმა ოთხი ათასი მაღალი საფეხური აიარა და ასე მიეახლა წმიდა მწვერვალს. მადლობა შესწირა უფალს იმისთვის, რომ ქართველ ხალხს მისცა ენა და რწმენა; შეავედრა ჩვენი ეკლესია, მთელი ქართველი ერი, განსაკუთრებით ახალგაზრდობა, ბავშვები, მშობიარე დედები და ა.შ. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ეს ლოცვა წმიდა მწვერვალზე, ეპისტოლარულ-მჭევრმეტყველობითი ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუშია.

დიახ, ორმოცი წელი შესრულდა ილია II-ის წმიდა საპატრიარქო ტახტზე აღსაყდრებიდან.

1977 წლის 9 ნოემბერს, კათოლიკოს-პატრიარქის დავით VI-ის გარდაცვალების შემდეგ, წმიდა სინოდის გადაწყვეტილებით, ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია შიოლაშვილი დადგინდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრედ. 1977 წლის 23 დეკემბერს მიტროპოლიტი ილია (შიოლაშვილი) სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად აირჩიეს.

1977 წლის 25 დეკემბერი...

ეს თარიღი უმნიშვნელოვანესია არა მარტო საქართველოს სამოციქულო ეკლესიის, არამედ, საერთოდ, საქართველოს ისტორიაში. სწორედ ამ დღეს მცხეთის სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში საზეიმო ვითარებაში მოხდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის წმიდა ტახტზე ქართველი საზოგადოებისათვის თავისი მაღალი განათლებით, კულტურითა და მრავალი კეთილი მამულიშვილური საქმის კეთებით კარგად ცნობილი საეკლესიო და საზოგადო მოღვაწის, ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ილიას (შიოლაშვილის) აღსაყდრება. ამიერიდან იგი იწოდა ილია II-დ, უწმიდესად და უნეტარესად.

აღსაყდრების ცერემონიალს სვეტიცხოვლის ტაძარში საკმაოდ დიდი მრევლი დაესწრო. ამ სტრიქონების ავტორი ამაყია იმით, რომ თავის ოჯახთან ერთად ესწრებოდა ზეიმს. დღესაც სათუთად ინახავს საგანგებო საშვსა და მოსაწვევ ბარათს საზეიმო მიღებაზე დასასწრებად.

ინტრონიზაციის ცერემონიალს დაესწრნენ: მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი პიმენი, ბულგარეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენელი არქიმანდრიტი ნაუმი, ალექსანდრიის ეკლესიის წარმომადგენელი არქიმანდრიტი გრიგორიოსი, სომეხთა კათოლიკოსი ვაზგენ I, მრავალი უცხოელი სტუმარი.

ქართველი საზოგადოება გრძნობდა, რომ ერის ცხოვრებაში განსაკუთრებული და მნიშვნელოვანი ხდებოდა, ახალი ეტაპი იწყებოდა საქართველოს ეკლესიურ ცხოვრებაში.

* * *

ილია II ხევში გამოჩინებული პიროვნების შიოლა ღუდუშაურის შთამომავალია. შიოლამ საფუძველი დაუდო შიოლაშვილების გვარს. სოფელი სნო არის ღუდუშაურ-შიოლაშვილთა ფუძე-ადგილი. ილია II-ის მშობლები ვლადიკავკაზში გადასახლდნენ. გიორგი შიოლაშვილს ტრადიციული ქართული ოჯახი ჰქონდა. მისი მეუღლე ნატალია კობაიძე სათნოებითა და სიკეთით გამორჩეული პიროვნება იყო. ცოლ-ქმარი ქრისტიანული სარწმუნოების თავგამოდებული მიმდევარნი იყვნენ.

მომავალი პატრიარქი დაიბადა 1933 წლის 4 იანვარს ქ. ვლადიკავკაზში. მონათლეს ქართულ ეკლესიაში და ქართლ-კახეთის სახელოვანი მეფის, ერეკლე II-ის პატივისცემის ნიშნად ირაკლი დაარქვეს. ქ. ვლადიკავკაზის საშუალო სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, 1952 წელს, მოსკოვის სასულიერო აკადემიაში ჩაირიცხა. აკადემიაში სწავლის პერიოდმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ილია II-ზე. აქ იყვნენ გამოჩენილი პროფესორ-მასწავლებლები, რომლებიც ცოდნასთან ერთად მაღალზნეობრივ თვისებებს უნერგავდნენ მსმენელებს.

ამ სტრიქონების ავტორს ჰქონდა პატივი ყოფილიყო სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის მეთაურობით რუსეთის დედაქალაქში ვიზიტად მყოფი საქართველოს დელეგაციის წევრი და დარწმუნებულიყო იმ უდიდეს მოკრძალებასა და განსაკუთრებულ, თაყვანისცემამდე მისულ პატივის მიგებაში აკადემიისადმი, რომლითაც ილია II არის გამსჭვალული ზაგორსკის სასულიერო აკადემიის რექტორის, პროფესორ-მასწავლებლებისა და მსმენელებისადმი.

1957 წლის 16 აპრილს, 24 წლის ირაკლი შიოლაშვილი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მელქისედეკ III-ის ლოცვა-კურთხევით თბილისში, წმიდა ალექსანდრე ნეველის ტაძარში მიტროპოლიტმა ზინობმა (მაჟუგა) ბერად აღკვეცა. ამიერიდან მას წინასწარმეტყველი ილიას სახელი ეწოდა.

ნიშანდობლივია, რომ დიაკვნად ხელდასხმული ილია (შიოლაშვილი) მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქმა ალექსი I-მა წმიდა სერგი რადონეჟელის ლავრაში მღვდელ-მონაზვნად აკურთხა და ოქროს ჯვრითაც დააჯილდოვა.

1960 წელს მღვდელ-მონოზონმა ილიამ მოსკოვის სასულიერო აკადემია წარჩინებით დაასრულა და ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხი მოიპოვა ნაშრომისათვის – „ათონის ივერიის მონასტრის ისტორია“. ამ ნაშრომმა კვლევის სიღრმით, აქტუალობით, პრობლემის მნიშვნელობით ავტორს დიდი წარმატება მოუტანა.

იგი საქართველოში დაბრუნდა. მომავალ პატრიარქს ღრმად ჰქონდა შეგნებული ის სირთულეები, რომლებიც იმ დროს საქართველოს ეკლესიას გააჩნდა. ქართულ სულიერებას აღორძინება ესაჭიროებოდა. სამშობლოში დაბრუნებული ილია ბათუმის საკათედრო ტაძარში დაინიშნა მღვდელმსახურად. ახალგაზრდა მღვდელ-მონოზონი დიდი ენერგიით შეუდგა მოღვაწეობას. სწორედ ერთგული და თავდადებული საქმიანობის შედეგი იყო, რომ მას 1961 წელს მიანიჭეს იღუმენის ხარისხი. მალე მისი არქიმანდრიტად ხელდასხმა მოხდა. 1963 წლის 26 აგვისტოს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ეფრემ II-მ ილიას (შიოლაშვილი) ხელი დაასხა შემოქმედის ეპარქიის ეპისკოპოსად. ამასთან, იგი დაინიშნა პატრიარქის ქორეპისკოპოსად, 1967 წელს, ცხუმ-აფხაზეთის მღვდელმთავრად; 1969 წელს მიტროპოლიტის ხარისხი ებოძა.

მეუფე ილიას მოღვაწეობა, როგორც შემოქმედის, ისე ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიებში ზედმიწევნით აქტიური იყო. სულიერ საზრდელს მოკლებული ქრისტიანები მისი ქადაგებებისა და მასთან ურთიერთობის გზით სულიერ სიმშვიდეს პოულობდნენ. მეუფის ღვთიური შესახედაობა, საოცარი სითბოსა და სიყვარულის გამომასხივებელი თვალები, მწყაზარი მეტყველება ხიბლავდა და აჯადოებდა მრევლს.

აღსანიშნავია, რომ იგი 1963 წელს დაინიშნა იმ დროისათვის ერთადერთი სასულიერო სასწავლებლის, მცხეთის სასულიერო სემინარიის რექტორად, სადაც 1972 წლამდე მოღვაწეობდა.

განსაკუთრებულად აღსანიშნავია შემოქმედელი მღვდელმთავრის ილიას მონაწილეობა მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიების წარმომადგენელთა შეხვედრაში კუნძულ როდოსზე (1964 წ.). აქ მან დააყენა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის საერთაშორისო მასშტაბით ცნობის საკითხი. საქმე ისაა, რომ, მართალია, 1917 წლის 12 (25) მარტს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია აღდგენილად გამოცხადდა, მაგრამ არც ერთმა სახელმწიფომ არ ცნო იგი. რუსეთის ეკლესიამ მხოლოდ 1943 წელს აღიარა საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობა. საერთაშორისო მასშტაბით კი არც ანტიოქიის, არც იერუსალიმის, არც ალექსანდრიის ეკლესიებმა არ ცნეს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალურობა.

და აი, საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის სახელით, ასაბუთებს რა ავტოკეფალიის კანონზომიერებას, ილია (შიოლაშვილი) მთელი სიმწვავით აყენებს მისი საერთაშორისო მასშტაბით ცნობის აუცილებლობის საკითხს. როდესაც მეცნიერული საბუთიანობით ვერაფერს გახდა, მეუფე ილიამ უკიდურეს ზომას მიმართა – პროტესტის ნიშნად სხდომა დატოვა. ამას დიდი ხმაური მოჰყვა. თუ მსოფლიო საპატრიარქოსათვის მეუფის პროტესტი დამაფიქრებელი იყო, სხვა მხარისთვის (მხედველობაში გვაქვს იმ დროის სახელმწიფოს სხვადასხვა ორგანოები) ეს ქმედება უარყოფითად შეფასების საგანი გახდა.

საქმე ისაა, რომ როცა პატრიარქი ეფრემ II გარდაიცვალა, 1972 წელს, უმალ დადგა ახალი კათოლიკოს-პატრიარქის არჩევის საკითხი. საყოველთაო აზრით, როგორც მრევლის, ისე წმიდა სინოდის და საერთოდ სამღვდელოების აზრით, ერთადერთი კანდიდატი უკვე ქვეყანაში აღიარებული, საზოგადოებაში პოპულარული, ღრმად განსწავლული და თავის, 39 წლის ასაკისათვის საკმაოდ გამოცდილი მიტროპოლიტი ილია (შიოლაშვილი) იყო.

ისიც უნდა ითქვას, რომ საქართველოს ეკლესიის კათოლიკოს-პატრიარქის ტახტზე ილიას (შიოლაშვილი) კანდიდატურა ერთსულოვნად მიიღო ქვეყნის ხელისუფლებამ. ამის უშუალო მოწმე და მონაწილე მე გახლავართ.

აქ მოხდა გაუთვალისწინებელი რამ. ილიას (შიოლაშვილი) კათოლიკოს-პატრიარქად არჩევის წინააღმდეგ გამოვიდა საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს რელიგიათა საქმის სამმართველო და კერძოდ მისი რწმუნებული. წინააღმდეგობის მოტივად როდოსის შეკრებაზე ილია შიოლაშვილის პროტესტი დასახელდა. იმხანად, შეუძლებელი გახდა ამ წინააღმდეგობის გადალახვა და მიტროპოლიტ ილიას (შიოლაშვილი) არჩევა კათოლიკოს-პატრიარქად რამდენიმე წლით გადაიდო.

* * *

ახლად არჩეული 43 წლის ილია II დიდი ენერგიით შეუდგა ფართო მასშტაბის საქმიანობას. მისი ყოველი საქმის, ქმედების საფანელი სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულია. პატრიარქად აღსაყდრების უმალ მისი თვალი სრულიად საქართველოს გადასწვდა. ილია II ყურადღებას აქცევს მრევლის გამრავლებას და ახერხებს კიდეც მოსახლეობის ფართო ფენების, მათ შორის, ახალგაზრდობის მოზიდვას.

დაიწყო კათოლიკოს-პატრიარქის საშობაო და სააღდგომო ეპისტოლეების ბეჭდვა; საქართველოს ეკლესიის კალენდარი რამდენიმე სახის (ვრცელი, მოკლე) გამოდის; ილია II-ის დიდი მცდელობის შედეგად დაარსდა და გამოიცა ჟურნალ-გაზეთები; გამოიცა ძველი და ახალი აღთქმის წიგნები, დიდი სჯულისკანონი; ბიბლია გამოიცა თანამედროვე ქართულ ენაზე. განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს ილია II-ის ეპისტოლენი, სიტყვანი, ქადაგებანი. პატრიარქის უშუალო თაოსნობით შეიქმნა მისიისა და ევანგელიზაციის განყოფილება, სასწავლო კომიტეტი, საპატრიარქოს საგამომცემლო განყოფილება; მუშაობს პრესცენტრი; უდიდესი მნიშვნელობა აქვს საპატრიარქოსთან შექმნილ ახალგაზრდულ ცენტრს, რომელიც წმიდა სამების ტაძარში ფუნქციონირებს.

პატრიარქის ლოცვა-კურთხევით დაარსდა საპატრიარქოს ტელევიზია, რომელიც თავისი გადაცემებით გამორჩეულია სხვა სატელევიზიო არხებისაგან; მაყურებელში სიმშვიდე და მყუდროება, სულიერება და სიწმინდე შეაქვს.

განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს ილია II-ის მიერ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯები საერთაშორისო ურთიერთობების გაუმჯობესებისათვის. გასული საუკუნის 60-იან წლებში დაწყებული ბრძოლა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისათვის პატრიარქმა კვლავ გააგრძელა. 1979 წელს ილია II ეწვია კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს. მან კვლავ დააყენა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი და მოითხოვა, რომ ეს საქმე ერთხელ და სამუდამოდ გადაწყვეტილიყო. აქტიურმა ბრძოლამ ავტოკეფალიისათვის თავისი ნაყოფი გამოიღო: მსოფლიოს საპატრიარქოები დარწმუნდნენ, რომ საქართველოს ეკლესია ერთგულია თავისი ტრადიციებისა და შესწევს უნარი დაიკავოს მსოფლიოს მართლმადიდებლურ სამყაროში თავისი კუთვნილი ადგილი.

1990 წლის 4 მარტს კონსტანტინოპოლის პატრიარქმა დიმიტრიოს I-მა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმიდესსა და უნეტარეს ილია II-ს გადასცა საგანგებო სიგელი, რომელიც საქართველოს

ეკლესიის ავტოკეფალურობას ადასტურებს. ეს მნიშვნელოვანი აღიარება იყო. ხაზი გაესვა საქართველოს ეკლესიის სიძველესა და თვითმმართველ და თავისუფალ გამგებლობას. ფაქტობრივად დადასტურდა და დაკმაყოფილდა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის, ილია II-ის მიერ მსოფლიო საპატრიარქოს წინაშე ჯერ კიდევ 1979 წელს დასმული მოთხოვნები: საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ცნობა V საუკუნიდან: ეკლესიის მეთაურისთვის პატრიარქის წოდების დადასტურება XI საუკუნიდან. ამგვარად, საქართველოს ეკლესიამ რეალური ავტოკეფალია სწორედ ილია II-ის თავდადებული ბრძოლის შედეგად მოიპოვა.

* * *

ილია II-ის სახელთანაა დაკავშირებული საქართველოში ტაძრების მასობრივი აღდგენა-მშენებლობა. ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში აღდგა დანგრეული ეკლესიები; ჯვარი დაუბრუნდა ჯვარჩამოხსნილ ტაძრებს; ხელახლა მოიხატა ტაძრები. საეკლესიო აღმშენებლობაში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უშუალოდ მონაწილეობს.

ამ წერილის ავტორს კარგად ახსოვს პატრიარქის დიდი ყურადღება და ყოველმხრივი ძალისხმევა თბილისის უნივერსიტეტის წმიდა დავით აღმაშენებლის სახელობის ეკლესიის მშენებლობისას. ძალიან ბევრი ახლად აშენებული თუ აღდგენილი ეკლესია თავად ილია II-მ აკურთხა. განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს წმიდა სამების საკათედრო ტაძრის აშენება. აიგო გრანდიოზული ტაძარი, რომლის ბადალი იშვიათია მსოფლიო მასშტაბითაც კი. ფართოდ აღდგა სამონასტრო ცხოვრება, ინტენსიური გახდა იგი. საგრძნობლად გაიზარდა ეპარქიათა რაოდენობა. ყოველივე ეს კი მოსახლეობის ფართო მასებთან წარმატებულ ურთიერთობას განაპირობებს.

ილია II-ის ყურადღება პერმანენტულადაა მიპყრობილი სწავლა-განათლების პრობლემებისადმი, რწმენასა და მეცნიერებას შორის კავშირის აღდგენისადმი. იგი არაერთგზის ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ჭეშმარიტი მეცნიერება ქრისტიანული რწმენით უნდა იყოს გაჯერებული. უშუალოდ პატრიარქის დიდი მცდელობით დაფუძნდა 1988 წელს თბილისის სასულიერო აკადემია. ამ აკადემიის პირველი რექტორი თვით პატრიარქი იყო. ილია II-ის ძალისხმევა, დაეარსებინა მეცნიერებათა აკადემია, 1995 წელს წარმატებით დაგვირგვინდა — ჩამოყალიბდა და აქტიურად ფუნქციონირებს გელათის მეცნიერებათა აკადემია. პატრიარქი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების საქმიანობას, ახალგაზრდა თაობის აღზრდის საქმეს. შენიშნებს გამოთქვამს პედაგოგისა და სკოლის შესახებ. იგი აყენებს საკითხს, სასკოლო პროგრამაში შეტანილ იქნეს ზნეობრივი კულტურის სწავლება. უწმიდესმა და უნეტარესმა მოითხოვა შექმნილიყო პირველიდან დამამთავრებელ კლასამდე სასკოლო კურსი ღრმა აზროვნების სწავლებისათვის, სადაც გამოყენებული იქნებოდა ღვთისმეტყველების, ლოგიკის, ფსიქოლოგიის, ფილოსოფიის, ანთროპოლოგიის მონაპოვარი (მასალა კონკრეტული მაგალითებით უნდა ყოფილიყო ილუსტრირებული ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით). „ღრმა აზროვნებასთან ზიარება ბავშვს გაუადვილებს სხვა საგნების ათვისებას. ამასთან, ჩვენ აღვზრდით ნამდვილად ჭკვიან ახალგაზრდებს, რომლებიც იცხოვრებენ და იმოქმედებენ არა მხოლოდ ემოციებით, თავისუფალნი იქნებიან მაქსიმალიზმისაგან და ჩვენზე უფრო გონიერად, რწმენით და სიმართლით წარმართავენ ცხოვრებას“ („საღდგომო ეპისტოლე“ (1990).

ილია II კმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამო, რომ ბოლო დროს გარკვეული ურთიერთობა ჩამოყალიბდა საქართველოს სამოციქულო ეკლესიას, უმაღლეს სასწავლებლებს, მეცნიერებათა აკადემიასა და სხვა სამეცნიერო კულტურულ ცენტრებს შორის. „ჩვენ, — აღნიშნავს პატრიარქი, — მეგობრულ ხელს ვუწვდით ინტელიგენციას და მოხარულნი ვიქნებით, თუ შევძლებთ ერთად ვითანამშრომლოთ ქვეყნის საკეთილდღეოდ“. პატრიარქი დიდ ყურადღებას აქცევს უმაღლეს სკოლას, სტუდენტობას. წლების მანძილზე, ყოველ პირველ სექტემბერს, ილია II თბილისის უნივერსიტეტს სტუმრობდა, სწავლის დაწყებისას ესალმებოდა და გულმხურვალედ ლოცავდა. იგი არაერთგზის სწევია ფოკას, სადაც თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტები ზაფხულს ატარებდნენ და მონასტრულ ცხოვრებას ეზიარებოდნენ.

ილია II, როგორც მწყემსი სრულიად საქართველოსი და საზღვარგარეთ მყოფ ქართველებზე გულშემატკივარი, ხშირად მოგზაურობს სამყაროს ყველა კუთხეში, მოილოცავს სიწმიდეებს. მრევლი რწმუნდება, რომ პატრიარქს ყველას სიყვარულის გულით ტარება შეუძლია. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კათოლიკოს-პატრიარქის სტუმრობა საინგილოში. უწმიდესისა და უნეტარესის ხელისშეწყობით რამდენიმე ინგილომ დაამთავრა საქართველოს სასულიერო აკადემია და საქართველოს ეპარქიებში (საინგილოშიც) ღვთისმსახურებას ეწევა. მნიშვნელოვანი იყო ილია II-ის მიერ კახის რაიონის (კახის რაიონის წმიდა გიორგის ეკლესიაში 1988 წელს განახლდა ღვთისმსახურება; 1988-1992 წლებში აღდგა კახის წმიდა გიორგის, სოფ. ალიბეგლოს წმიდა ნინოს და სოფ. მეშაბაშის მთავარანგელოზის ეკლესიები) სოფლების ეკლესიებში პარაკლისის გადახდა. ამაღელვებელი იყო პატრიარქის სტუმრობა სპარსეთში — ფერეიდნელ ქართველებთან. ილია II-მ მღვდელმთავრებთან ერთად მოილოცა ტაო-კლარჯეთის ქართული ეკლესიები.

პატრიარქის ყოველი ქმედება ნათლად გვიჩვენებს, რომ იგი თავის ხალხთანაა. ამის ნათელი მაგალითია, რომ 1989 წლის 9 აპრილის უმძიმეს წუთებში ილია II თავის ხალხთან იყო. მან მთელს სამწყსოს ამცნო მოსალოდნელი საფრთხის შესახებ და ერთადერთი სწორი გზისკენ — ქაშვეთის ეკლესიაში ლოცვისკენ მოუწოდა. ამ ბრძნული რჩევის შეუსმენლობის შედეგი 9 აპრილის ტრაგედია გახლდათ. 1991 წლის დეკემბრის მოვლენების დროს პატრიარქი ყოველმხრივ შეეცადა მოერიგებინა დაპირისპირებული მხარეები. მის მიერ გადადგმული ნაბიჯები რთული, მაგრამ სწორი იყო, მის მოქმედებაში სიბრძნე გამოსჭვიოდა. პატრიარქს მომავლისა და გამარჯვების რწმენა არ ტოვებს. მან კარგად იცის, რომ ქრისტეს გზა ვიწროა და ეკლიანი, მაგრამ ერთადერთია და გადამრჩენელი. იგი ჯვარცმაა, მაგრამ იგი არის აღდგომაც.

ილია II-მ თავისი დაუღალავი მოღვაწეობით შეძლო ახლებურად წარმოეჩინა ქრისტიანობის ძალა, ეკლესიის მნიშვნელობა საზოგადოებისათვის. ამასთან, წინ წამოსწია ქრისტიანობის შემეცნებითი მხარე; აჩვენა, რომ ეს მხოლოდ რწმენა კი არა, მეცნიერული ცოდნაცაა. პატრიარქის მცდელობით ეკლესიამ აღადგინა და ააღორძინა თავისი კარგი ტრადიციები. შესაბამისად გაიზარდა მეცნიერთა, ხელოვნების მუშაკთა როლი, გულისხმიერად მოეკიდონ ერის სულიერი განათლების საქმეს, მხარში ამოუდგნენ მშობლიურ ეკლესიას და ღირსებით ემსახურონ მას.

ილია II-ის მუდმივი ყურადღება არ მოჰკლებია უმაღლეს სკოლას, სტუდენტობას. 2002 წლის 7 ოქტომბერს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიდმა სამეცნიერო საბჭომ, ილია II თავის საპატიო დოქტორად აირჩია. ეს მადლიერების გამოხატვა იყო საერთოდ საქართველოს ეკლესიისადმი, აღიარება იყო ილია II-ის დიდი ამაგისა განათლების სისტემისადმი; მისი განსაკუთრებული დამოკიდებულებისა თბილისის უნივერსიტეტისადმი. 2005 წლის 11 მარტს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საერთო კრებამ საპატიო აკადემიკოსად აირჩია.

საქართველოს პატრიარქი დაჯილდოებულია მსოფლიოს (კონსტანტინოპოლის) საპატრიარქოს, ანტიოქიის, იერუსალიმის, ალექსანდრიის, რუსეთის, საბერძნეთის, ბულგარეთის, რუმინეთის, საქართველოს საპატრიარქოების; პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიისა და თითქმის ყველა სხვა მართლმადიდებელი ეკლესიის უმაღლესი ჯილდოთი. არის ნიუ-იორკის სასულიერო აკადემიის ღვთისმეტყველების დოქტორი, კრეტის სასულიერო აკადემიის საპატიო წევრი, გაეროსთან არსებული ინფორმატიზაციის საერთაშორისო აკადემიის ნამდვილი წევრი.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო ოცდაათი წლის განმავლობაში მოხდა გამორჩეულ, ღირსეულ ქართველ მამულიშვილთა კანონიზირება. საქართველოს ეკლესიამ წმინდანად შერაცხა მოწამებრივად აღსრულებული დიდი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ილია ჭავჭავაძე (1987 წ.); წმიდა ნინოს მშობლები — სუსანა და ზაბულონი, კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი ხელაია, ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი ნაზარი კრებულთან ერთად, იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელ ქიქოძე, ეპისკოპოსი ალექსანდრე ოქროპირიძე, იღუმენი ალექსი შუშანია, მღვდელი თევდორე (1995 წ.); 1999 წელს წმინდანად იქნა შერაცხილი ცოტნე დადიანი. უკანასკნელ ხანს წმინდანთა დასს შეემატნენ კათოლიკოსები: პეტრე I და სამოელ I, აბუსერიძე ტბელი, თევდორე აჭარელი, კლარჯელი მამანი და დედანი, ილარიონ ქართველი (ახალი), კათოლიკოს-პატრიარქი კირიონ II, ექვთიმე თაყაიშვილი, დიმიტრი ყიფიანი და სხვა ღვთისა და მამულისათვის თავდადებული ქართველები.

უწმიდესის სახელთანაა უშუალოდ დაკავშირებული ღმრთისმსახურების დროს ქართული საგალობლების აღდგენა-განახლება. ფაქტია, რომ ბოლო პერიოდში შექმნილი ქართული საგალობლებიდან თავისი მელოდიურობით, გულშიჩამწვდომი სინატიფით გამოირჩევა ილია II-ის მიერ შექმნილი საგალობლები. უწმიდესმა, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდამ, ბათუმში მღვდელმონაზვნად მსახურებისას, შექმნა საგალობელი „წმიდაო ღმერთო, წმიდაო ძლიერო“. 2007 წლის მარტში, მოსკოვში პატრიარქის ვიზიტის დროს, ქრისტე მაცხოვრის გრანდიოზულ ტაძარში, სადაც საღმრთო ლიტურგიას ოთხი ათასზე მეტი სხვადასხვა ეროვნების მორწმუნე ესწრებოდა, შესრულდა ილია II-ის მიერ შექმნილი გენიალური „კირიელეისონ“. საგალობელმა, რომელიც ბრწყინვალედ შეასრულა საქართველოს საპატრიარქოს გუნდმა, მრევლის აღფრთოვანება გამოიწვია. კმაყოფილება ვერ დაფარა უწმიდესმა ალექსი მეორემ — მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქმა. პატრიარქის მიერ შექმნილი მუსიკალური ნაწარმოებები მსოფლიოს წამყვანი საკონცერტო დაწესებულებების სცენებზე სრულდება.

ილია II გამორჩეულია მხატვრობის ნიჭითაც. მისი დიაპაზონი არ შეიძლება მხოლოდ ხატწერით შემოვფარგლოთ. იგი ფართო მასშტაბის მხატვარია. არ შეიძლება თაყვანისცემის გრძნობა არ დაგეუფლოს პატრიარქის მიერ შესრულებულ (დაწერილი) წმიდა სამების ხატის ხილვისას. მაღალი ოსტატობითაა ილია II-ის მიერ შესრულებული თამარის ფრესკა დიდუბის ეკლესიაში, ღვთისმშობელი — მანგლისის საპატრიარქო რეზიდენციაში, ვახტანგ გორგასალი — რუსთავის ეკლესიაში, თამარ მეფე და სოლომონ ბრძენი — თბილისის საპატრიარქო რეზიდენციაში და სხვა მრ.

განუზომელია ილია II-ის ავტორიტეტი და პოპულარობა არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც, საერთაშორისო მასშტაბით. უწმიდესი მრავალ საერთაშორისო ღონისძიებაში მონაწილეობდა. იგი 1978-1983 წლებში არჩეულ იყო ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს პრეზიდენტად. პრაქტიკულად მან წარმართა საიუბილეო ლიტურგიული მსახურებანი რუსეთის გაქრისტიანების 1000 წლისთავზე მოსკოვში, რისთვისაც მას განსაკუთრებით პატივს მიაგებენ არა მხოლოდ რუსი მღვდელმსახურნი, არამედ მრევლიც. ჭეშმარიტად ისტორიული იყო საქართველოს პატრიარქის ვიზიტი რუსეთში. მრავალმნიშვნელოვან მოვლენათა შორის გამორჩეული იყო ქრისტე მაცხოვრის უზარმაზარ ტაძარში ორი პატრიარქის — ილია II-ისა და ალექსი II-ის მიერ შესრულებული ერთობლივი წირვა, ორთავე პატრიარქმა შესთხოვა უფალს, რომ მშვიდობა სუფევდეს ყოველთა.

საქართველოს პატრიარქის მოწოდებაა გავაცნობიეროთ, რა არის სიკეთე და რა ბოროტება, რომელ გზას მივყავართ ცხოვნებისაკენ და რომელს დაღუპვისაკენ... ხსნა მხოლოდ ადამიანისა და ღმერთის ერთობაშია. ილია II მიიჩნევს, რომ აუცილებელია სიყვარულამდე ამაღლება. იგი ხშირად მიმართავს წმიდა წერილს: სიყვარული სულგრძელია და ტკბილი. სიყვარულს არ შურს, სიყვარული არ ქედმაღლობს, არ ზვაობს, არ უკეთურობს, არ ეძებს თავისას, არ მრისხანებს, არ განიზრახავს ბოროტს, არ შეხარის უსამართლობას, არამედ ჭეშმარიტებით ხარობს. ყველაფერს იფარავს, ყველაფერი სწამს, ყველაფრის იმედი აქვს, ყველაფერს ითმენს (პირველი კორინთელთა მიმართ, 13, 4-7). თუ მოვიპოვებთ ასეთ მადლს, — განმარტავს უწმიდესი, — ღვთის შვილობის ღირსი გავხდებით.

ილია II ჭეშმარიტი მწყემსია ქრისტიანული საქართველოსი. იგი თავის ერზე, ქვეყანაზე უსაზღვროდ შეყვარებულია, მასზე მოფიქრალია ყოველთვის და მისთვის მლოცველია. ყოველი ლოცვისას პატრიარქი საქართველოსა და ქართველ ერს ავედრებს უფალს ქვეყნის გადარჩენასა და ხალხის დღეგრძელობას შესთხოვს.

ხალხის უსაზღვრო სიყვარული პატრიარქისადმი გამოხატულია მათ სურვილში დღეგრძელი იყოს ილია მეორე. ხალხის ნება გაითვალისწინა ხელისუფლებამ და სახელმწიფოს უპირველესი და უმაღლესი ჯილდოთი, დავით აღმაშენებლის ორდენით დაჯილდოვა ილია II. ეს ჯილდო უწმიდესმა მიიღო მრავალწლიანი თავდადებული მოღვაწეობისათვის, ღმრთისა და ერის სამსახურისათვის, იმ დიდი წვლილისათვის, რომელიც მას საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დამოუკიდებლობის მოპოვება-აღორძინების საქმეში მიუძღოდა; ქართველი ერის სულიერი და ფიზიკური გადარჩენისათვის, სახელმწიფოებრიობის მშენებლობასა და ქვეყნის გამთლიანებისათვის ბრძოლაში გაწეული განსაკუთრებული ღვაწლისათვის. ნიშანდობლივია, რომ ილია II ჯერჯერობით ერთადერთი პიროვნებაა, რომელსაც უმაღლესი ჯილდო მიენიჭა. ილია II ერმა ჭეშმარიტ სულიერ მამად იწამა და ილია ჭავჭავაძის ერისკაცური საქმის გამგრძელებლად მიიჩნია.

თუ XIX საუკუნის II ნახევარში საქართველოს ჰყავდა დიდი ილია, ენის, მამულისა და სარწმუნოებისათვის თავგამოდებული მებრძოლი; XX საუკუნის პირველ ორმოცწლეულში იყო დიდი ივანე ჯავახიშვილი, რომელმაც ერს თავდადებული შრომით სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულის მაგალითი უჩვენა; გასული საუკუნის ბოლო ორმოცწლეულსა და XXI საუკუნის პირველ ოცწლეულში არის პიროვნება, უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე, რომელმაც ღირსებით გააგრძელა ილია ჭავჭავაძისა და ივანე ჯავახიშვილის გზა, თავისი ძლიერი მხრებით, ბურჯად შეუდგა დიდ წინაპართა საქმეებს; პიროვნება, რომელსაც არ აშინებს ტვირთის სიმძიმე, იმედად მოევლინა ერს, ძალისხმევას არ იშურებს ხალხის სამსახურისათვის, სიკეთესა და სითბოს ასხივებს და ათბობს ადამიანთა გულებს.

როინ მეტრეველი
აკადემიკოსი

ᲯᲔᲘᲛᲡ ᲙᲝᲘᲚᲘ: ᲜᲐᲢᲝᲨᲘ ᲒᲐᲬᲔᲕᲠᲔᲑᲐ ᲛᲐᲨᲘᲜ, ᲠᲝᲪᲐ ᲡᲐᲖᲦᲕᲠᲘᲡ ᲛᲗᲚᲘᲐᲜ ᲞᲔᲠᲘᲛᲔᲢᲠᲡ ᲕᲔᲠ ᲐᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲔᲑ, ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲫᲜᲔᲚᲘᲐ!..

— ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲐᲦᲡᲐᲓᲒᲔᲜᲐᲓ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲗᲕᲐᲚᲡᲐᲖᲠᲘᲡᲘᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲐᲠᲐᲤᲠᲘᲡ ᲒᲐᲙᲔᲗᲔᲑᲐ ᲐᲠ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ. ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲐᲠᲛᲘᲐ ᲓᲦᲔᲡ 10-ᲯᲔᲠ ᲣᲤᲠᲝ ᲫᲚᲘᲔᲠᲘᲐ, ᲕᲘᲓᲠᲔ 2008 ᲬᲔᲚᲡ ᲘᲧᲝ, — ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ ᲯᲔᲘᲛᲡ ᲙᲝᲘᲚᲘ, „ᲐᲢᲚᲐᲜᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ“ ᲛᲙᲕᲚᲔᲕᲐᲠᲘ ᲓᲐ ᲩᲔᲠᲛᲐᲜᲘᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲒᲚᲝᲑᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲕᲚᲔᲕᲔᲑᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ. ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲘᲡ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲠᲔᲘᲜᲢᲔ�გᲠᲐᲪᲘᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲛᲘᲡᲘ ᲐᲖᲠᲘᲗ, ᲛᲝᲗᲛᲘᲜᲔᲑᲐ, ᲛᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲔᲑᲗᲐᲜ ᲗᲐᲜᲛᲘᲛᲓᲔᲕᲠᲣᲚᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲚᲘ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲣᲠᲡᲘᲐ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ. ᲓᲝᲥᲢᲝᲠ ᲙᲝᲘᲚᲡ „ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲮᲛᲐ“ ᲔᲡᲐᲣᲑᲠᲐ. ᲛᲐᲜ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ, ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲘᲡ, ᲛᲝᲚᲓᲝᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲡᲔᲞᲐᲠᲐᲢᲘᲡᲢᲣᲚ ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲔᲑᲖᲔ ᲬᲘ�გᲜᲘ �გᲐᲛᲝᲐᲥᲕᲔᲧᲜᲐ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲐᲛ ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲔᲑᲨᲘ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲠᲝᲚᲖᲔ ᲡᲐᲣᲑᲠᲝᲑᲡ.

— ᲑᲐᲢᲝᲜᲝ ᲯᲔᲘᲛᲡ, ᲓᲘᲓᲘ ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣᲡᲗᲕᲘᲡ. ᲪᲝᲢᲐ ᲮᲜᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ ᲬᲘ�გᲜᲘ �გᲐᲛᲝᲐᲥᲕᲔᲧᲜᲔᲗ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲛᲔᲖᲝᲑᲔᲚ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲨᲘ — ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ, ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐᲨᲘ, ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲚᲓᲝᲕᲐᲨᲘ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲔᲑᲖᲔ ᲡᲐᲣᲑᲠᲝᲑᲗ. ᲠᲐ ᲘᲧᲝ ᲗᲥᲕᲔᲜᲗᲕᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲓᲘᲓᲘ ᲐᲦᲛᲝᲩᲔᲜᲐ ᲐᲛ ᲙᲕᲚᲔᲕᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ?

— ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲪᲮᲐᲓᲘ ᲐᲦᲛᲝᲩᲔᲜᲐ ᲘᲡ ᲘᲧᲝ, რᲝᲛ ᲐᲛ ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲔᲑᲡ ᲛᲡ�გᲐᲕᲡᲘ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲚᲔᲑᲘ ᲐᲥᲕᲡ, ᲠᲣᲡᲔᲗᲘ — ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲨᲔᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲢᲠᲐᲢᲔ�გᲘᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲗᲘᲗᲝᲔᲣᲚ ᲐᲛ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲘᲧᲔᲜᲔᲑᲡ. ᲗᲘᲗᲝᲔᲣᲚ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲛᲐ ᲛᲝᲜᲐᲮᲐ ᲡᲔᲞᲐᲠᲐᲢᲘᲡᲢᲣᲚᲘ Ჯ�გᲣᲤᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲗ ᲣᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲝ ᲘᲧᲕᲜᲔᲜ. ᲐᲦᲛᲝᲣᲩᲘᲜᲐ ᲛᲐᲗ ᲛᲐᲢᲔᲠᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲡᲐᲮᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲐ, ᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔ�გᲐᲪ ᲡᲔᲞᲐᲠᲐᲢᲘᲡᲢᲔᲑᲛᲐ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲔᲡ. ᲐᲛ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲨᲘ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲐᲠᲛᲘᲐ ᲓᲦᲔᲡ 10-ᲯᲔᲠ ᲣᲤᲠᲝ ᲫᲚᲘᲔᲠᲘᲐ, ᲕᲘᲓᲠᲔ 2008 ᲬᲔᲚᲡ ᲘᲧᲝ, — ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ ᲯᲔᲘᲛᲡ ᲙᲝᲘᲚᲘ, „ᲐᲢᲚᲐᲜᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ“ ᲛᲙᲕᲚᲔᲕᲐᲠᲘ ᲓᲐ ᲩᲔᲠᲛᲐᲜᲘᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲒᲚᲝᲑᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲕᲚᲔᲕᲔᲑᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ. ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲘᲡ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲠᲔᲘᲜᲢᲔ�გᲠᲐᲪᲘᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲛᲘᲡᲘ ᲐᲖᲠᲘᲗ, ᲛᲝᲗᲛᲘᲜᲔᲑᲐ, ᲛᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲔᲑᲗᲐᲜ ᲗᲐᲜᲛᲘᲛᲓᲔᲕᲠᲣᲚᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲚᲘ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲣᲠᲡᲘᲐ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ. ᲓᲝᲥᲢᲝᲠ ᲙᲝᲘᲚᲡ „ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲮᲛᲐ“ ᲔᲡᲐᲣᲑᲠᲐ. ᲛᲐᲜ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ, ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲘᲡ, ᲛᲝᲚᲓᲝᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲡᲔᲞᲐᲠᲐᲢᲘᲡᲢᲣᲚ ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲔᲑᲖᲔ ᲬᲘ�გᲜᲘ �გᲐᲛᲝᲐᲥᲕᲔᲧᲜᲐ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲐᲛ ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲔᲑᲨᲘ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲠᲝᲚᲖᲔ ᲡᲐᲣᲑᲠᲝᲑᲡ. ᲠᲐ ᲘᲧᲝ ᲗᲥᲕᲔᲜᲗᲕᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲓᲘᲓᲘ ᲐᲦᲛᲝᲩᲔᲜᲐ ᲐᲛ ᲙᲕᲚᲔᲕᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ?**

— ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲪᲮᲐᲓᲘ ᲐᲦᲛᲝᲩᲔᲜᲐ ᲘᲡ ᲘᲧᲝ, რᲝᲛ ᲐᲛ ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲔᲑᲡ ᲛᲡ�გᲐᲕᲡᲘ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲚᲔᲑᲘ ᲐᲥᲕᲡ, ᲠᲣᲡᲔᲗᲘ — ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲨᲔᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲢᲠᲐᲢᲔ�გᲘᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲗᲘᲗᲝᲔᲣᲚ ᲐᲛ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲘᲧᲔᲜᲔᲑᲡ. ᲑᲐᲚᲢᲘᲘᲡᲞᲘᲠᲔᲗᲘᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘ ᲜᲐᲢᲝᲡ ᲬᲔᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ�გᲐᲜ ᲨᲔᲓᲐᲠᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲪᲣᲚᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ. ᲠᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲛᲝᲢᲘᲕᲐᲪᲘᲐ ᲘᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲜᲫᲘᲚᲖᲔ ᲨᲔᲘᲜᲐᲠᲩᲣᲜᲝᲡ ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲔᲑᲘ ᲐᲛ ᲡᲐᲖᲦᲕᲠᲘᲡᲞᲘᲠᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲨᲘ?**

— ᲣᲜᲓᲐ ᲒᲕᲐᲮᲡᲝᲕᲓᲔᲡ, ᲠᲝᲛ ᲐᲛ ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲔᲑᲡ ᲠᲣᲡᲔᲗᲘ ᲐᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲔᲑᲡ. ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲗᲡ ᲜᲔᲑᲘᲡᲛᲘᲔᲠ ᲓᲠᲝᲡ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ ᲛᲐᲗᲘ ᲘᲜᲢᲔᲜᲡᲘᲕᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲖᲠᲓᲐᲪ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲪᲘᲠᲔᲑᲐᲪ. ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲐᲖᲠᲘᲗ, ᲠᲐᲢᲝᲛ ᲓᲐᲜᲐᲮᲚᲓᲐ ᲝᲛᲘ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲝᲡᲔᲗᲨᲘ 2008 ᲬᲔᲚᲡ? ᲐᲛᲐᲡ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲐᲥᲕᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲐᲜ ᲝᲡᲔᲑᲘᲡ ᲛᲮᲠᲘᲓᲐᲜ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲗᲐᲜ. ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲝᲛᲘ ᲘᲛᲘᲢᲝᲛ ᲛᲝᲮᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲛᲐ ᲙᲝᲡᲝᲕᲝᲡ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲐᲦᲘᲐᲠᲐ. ᲙᲠᲔᲛᲚᲛᲐ ᲐᲛᲘᲢᲝᲛᲐᲪ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲘᲢᲐ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲐ�გᲐᲚᲘᲗᲘᲗ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲭᲙᲣᲐ ᲔᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲜᲐ. ᲒᲐᲠᲓᲐ ᲐᲛᲘᲡᲐ, ᲜᲐᲢᲝᲨᲘ ᲒᲐᲬᲔᲕᲠᲔᲑᲐ ᲛᲐᲨᲘᲜ, ᲠᲝᲪᲐ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲡᲐᲖᲦᲕᲠᲘᲡ ᲛᲗᲚᲘᲐᲜ ᲞᲔᲠᲘᲛᲔᲢᲠᲡ ᲕᲔᲠ ᲐᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲔᲑ, ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲫᲜᲔᲚᲘᲐ. ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲡᲐᲖᲦᲕᲠᲡ ᲕᲔᲠ ᲐᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲔᲑ — ᲡᲬᲝᲠᲔᲡ ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲛᲝᲢᲘᲕᲐᲪᲘᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲖᲐᲜᲘ.

— ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲐᲓ ᲠᲔᲐᲚᲣᲠᲘᲐ ᲡᲐᲤᲠᲗᲮᲔ, ᲠᲝᲛᲔᲚᲖᲔᲪ ᲠᲣᲡᲔᲗᲘ ᲣᲬᲧᲕᲔᲢᲐᲓ ᲡᲐᲣᲑᲠᲝᲑᲡ? ᲜᲐᲢᲝᲨᲘ ᲒᲐᲬᲔᲕᲠᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲠᲣᲡᲔᲗᲡ ᲒᲐᲣᲖᲠᲓᲘᲡ ᲡᲐᲤᲠᲗᲮᲔᲡ? �თᲣᲠᲥᲔᲗᲘ ᲮᲛᲝ ᲜᲐᲢᲝᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲣᲓᲘᲓᲔᲡᲘ ᲬᲔᲕᲠᲘᲐ ᲓᲐ ᲘᲡ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲗᲐᲜ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲐᲮᲚᲝᲡ ᲣᲙᲕᲔ ᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔᲝᲑᲡ?

— ᲠᲣᲡᲔᲗᲘ ᲣᲙᲕᲔ ᲘᲔᲑᲔᲡ ᲖᲝᲛᲔᲑᲡ ᲘᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛ �თᲣᲠᲥᲔᲗᲘ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲝᲠᲑᲘᲢᲐᲨᲘ ᲨᲔᲘᲧᲕᲐᲜᲝᲡ. ᲔᲡ ᲓᲘᲓᲘ �გᲔᲝᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲗᲐᲛᲐᲨᲘᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲓᲠᲝᲡᲐᲪ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲜᲔᲑᲘᲡᲛᲘᲔᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲮᲐᲢᲕᲘᲡ ᲞᲠᲔᲕᲔᲜᲪᲘᲐᲡ ᲪᲓᲘᲚᲝᲑᲡ. ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲡ ᲔᲕᲠᲝᲠᲗᲮᲔᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲠᲪᲮᲔᲑᲐᲡ ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ ᲓᲐ ᲞᲘᲠᲘᲥᲘᲗ. ᲠᲣᲡᲔᲗᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲔᲨᲘᲜᲝᲓᲐ ᲘᲛᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲜᲐᲢᲝ ᲛᲘᲡ ᲡᲐᲖᲦᲕᲠᲔᲑᲗᲐᲜ ᲒᲐᲛᲐᲒᲠᲓᲔᲑᲝᲓᲐ. ᲐᲥ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲐᲕᲘ ᲘᲡ ᲙᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ, ᲘᲥᲜᲔᲑᲐ �თᲣ ᲐᲠᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲤᲠᲗᲮᲔ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲘᲡ, ᲘᲥᲜᲔᲑᲐ �თᲣ ᲐᲠᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲜᲐᲢᲝ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲤᲠᲗᲮᲔ.

— ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲐᲖᲘᲘᲡ �გᲐᲠᲓᲐ, ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲒᲐᲠᲨᲔᲛᲝ თითქმის ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲘᲐ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ ᲠᲐᲦᲐᲪ ᲡᲐᲮᲘᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲩᲐᲠᲗᲣᲚᲘ. ᲑᲐᲚᲢᲘᲘᲡᲞᲘᲠᲔᲗᲘᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘ ᲜᲐᲢᲝᲡ ᲬᲔᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ�გᲐᲜ ᲨᲔᲓᲐᲠᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲪᲣᲚᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ. ᲠᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲛᲝᲢᲘᲕᲐᲪᲘᲐ ᲘᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲛᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲜᲫᲘᲚᲖᲔ ᲨᲔᲘᲜᲐᲠᲩᲣᲜᲝᲡ ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲔᲑᲘ ᲐᲛ ᲡᲐᲖᲦᲕᲠᲘᲡᲞᲘᲠᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲨᲘ?

— ᲣᲜᲓᲐ ᲒᲕᲐᲮᲡᲝᲕᲓᲔᲡ, ᲠᲝᲛ ᲐᲛ ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲔᲑᲡ ᲠᲣᲡᲔᲗᲘ ᲐᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲔᲑᲡ. ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲡ ᲜᲔᲑᲘᲡᲛᲘᲔᲠ ᲓᲠᲝᲡ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ ᲛᲐᲗᲘ ᲘᲜᲢᲔᲜᲡᲘᲕᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲖᲠᲓᲐᲪ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲪᲘᲠᲔᲑᲐᲪ. ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲐᲖᲠᲘᲗ, ᲠᲐᲢᲝᲛ ᲓᲐᲜᲐᲮᲚᲓᲐ ᲝᲛᲘ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲝᲡᲔᲗᲨᲘ 2008 ᲬᲔᲚᲡ? ᲐᲛᲐᲡ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲐᲥᲕᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲐᲜ ᲝᲡᲔᲑᲘᲡ ᲛᲮᲠᲘᲓᲐᲜ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲗᲐᲜ. ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲝᲛᲘ ᲘᲛᲘᲢᲝᲛ ᲛᲝᲮᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲛᲐ ᲙᲝᲡᲝᲕᲝᲡ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲐᲦᲘᲐᲠᲐ. ᲙᲠᲔᲛᲚᲛᲐ ᲐᲛᲘᲢᲝᲛᲐᲪ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲘᲢᲐ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲐ�გᲐᲚᲘᲗᲘᲗ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲭᲙᲣᲐ ᲔᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲜᲐ. ᲒᲐᲠᲓᲐ ᲐᲛᲘᲡᲐ, ᲜᲐᲢᲝᲨᲘ ᲒᲐᲬᲔᲕᲠᲔᲑᲐ ᲛᲐᲨᲘᲜ, ᲠᲝᲪᲐ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲡᲐᲖᲦᲕᲠᲘᲡ ᲛᲗᲚᲘᲐᲜ ᲞᲔᲠᲘᲛᲔᲢᲠᲡ ᲕᲔᲠ ᲐᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲔᲑ, ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲫᲜᲔᲚᲘᲐ. ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲡ ᲕᲔᲠ ᲐᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲔᲑ — ᲡᲬᲝᲠᲔᲡ ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲛᲝᲢᲘᲕᲐᲪᲘᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲖᲐᲜᲘ.**

— ᲪᲝᲢᲐ ᲮᲜᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲛᲐ ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲘᲡ ᲠᲔ�გᲘᲝᲜᲨᲘ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲘᲡ 25-Ე ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲐᲦᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲐᲓ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ ᲒᲐᲛᲝᲐᲥᲕᲔᲧᲜᲐ ᲓᲐ ᲗᲥᲕᲐ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲝᲡᲔᲗᲨᲘ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲝ ᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲐ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲨᲘ ᲔᲠᲗᲔᲠᲗᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲡ ᲡᲮᲕᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘ ᲡᲐᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲝ ᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲓᲔᲚᲐᲓ ᲘᲧᲔᲜᲔᲑᲔᲜ. თქვენ როგორ აფასებთ ამ ოპერაციას?

— საერთაშორისო სამართლის თანახმად სამხრეთ ოსეთი საქართველოს ნაწილია. ამაზე ეჭვი არ არსებობს. საქართველოს გაეროში შესვლისას მთელმა მსოფლიომ, მათ შორის რუსეთმაც, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა აღიარა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის შემადგენლობით. შესაბამისად, რუსეთის ეს ოპერაცია არ არის „სამშვიდობო.“ მე მას „უცხოურ ინტერვენციას“ დავარქმევდი, რომელიც თბილისს საკუთარი ტერიტორიის მართვაში ხელს უშლის.

— თქვენი აზრით, რა გაუადვილებს საქართველოს უკიდურესად რთული გარემოსთვის თავის გართმევას?

— მოთმინება. რუსეთი მანამდე არ შეწყვეტს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მხარდაჭერას, სანამ ეს მხარდაჭერა შეღავათის მოტანის ნაცვლად ძვირი არ დაუჯდება. დღეს შეღავათი ისაა, რომ საქართველოს ნატოში გაწევრება ურთულდება. აუცილებელია მოთმინება. ალბათ გახსოვთ, ბალტიისპირეთის ქვეყნები 45 წელი ელოდნენ დღეს, როცა ისინი კვლავ დასავლეთის ნაწილი გახდებოდნენ. სანამ დასავლეთი აფხაზეთს და სამხრეთ ოსეთს დამოუკიდებელ ქვეყნებად არ აღიარებს, მათი უკან დაბრუნების იმედი არ უნდა გაქრეს და მოთმინება არ უნდა დაიკარგოს.

— მოთმინების მოწოდება საქართველოს მიმართ ხშირად ისმის. თუმცა, საზოგადოების ერთი ნაწილი ამბობს, რომ ნატოს წევრობა მხოლოდ დაპირებებია და ქვეყანას ალიანსში გაწევრების ნიშნად ხელჩასაჭიდი არაფერი აქვს. თქვენ მოთმინების გარდა რაიმე სხვა არჩევანს ხედავთ საქართველოსთვის?

— საქართველომ ჯერ ის უნდა გადაწყვიტოს, დაბალანსების პოლიტიკა აწარმოოს თუ მიტმასნების. თუ მთავრობას ბალანსის პოლიტიკა სურს, მაშინ ნატო საუკეთესო მოკავშირეა რუსეთის დასაბალანსებლად. რუსეთთან მიტმასნების შემთხვევაში კი, ქვეყანამ ის უნდა გაითავისოს, რომ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი საქართველოს ნაწილი არასოდეს იქნება და საქართველოს მთავრობა მოსკოვის მარიონეტი უნდა იყოს. არ ვფიქრობ, რომ საქართველოს საზოგადოებას ეს უნდოდეს.

„Radio Voice of America“ **(ᲐᲨᲨ)**

2017 ᲬᲔᲚᲡ ᲮᲛᲔᲚᲗᲐᲨᲣᲐ ᲖᲦᲕᲐᲨᲘ 3 ᲐᲗᲐᲡᲖᲔ ᲛᲔᲢᲘ ᲛᲘ�გᲠᲐᲜᲢᲘ ᲓᲐᲘᲦᲣᲠᲐ

2017 ᲬᲔᲚᲡ ᲮᲛᲔᲚᲗᲐᲨᲣᲐ ᲖᲦᲕᲘᲡ ᲒᲐᲕᲚᲘᲗ ᲔᲕᲠᲝᲠᲞᲘᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲐᲛᲓᲔ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲘᲡ ᲛᲪᲓᲔᲚᲝᲑᲘᲡᲐᲡ ᲓᲐᲦᲣᲠᲣᲚᲗᲐ ᲠᲘᲪᲮᲕᲛᲐ 3000-Ს ᲒᲐᲓᲐᲐᲭᲐᲠᲑᲐ. ᲡᲐᲒᲐᲜᲒᲐᲨᲝ ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲘᲙᲐᲡ ᲛᲘ�გᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲝᲠ�გᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ ᲐᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲡ. ᲐᲛᲐᲕᲔ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲔᲑᲘᲗ, ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲘᲣᲠᲐᲓ ᲖᲦᲕᲐᲨᲘ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝᲓ 10 ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲘᲦᲣᲠᲔᲑᲐ. ᲡᲣᲚ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲬᲔᲚᲡ ᲔᲕᲠᲝᲠᲞᲐᲨᲘ ᲮᲛᲔᲚᲗᲐᲨᲣᲐ ᲖᲦᲕᲘᲡ ᲒᲐᲕᲚᲘᲗ 163 979 ᲛᲘ�გᲠᲐᲜᲢᲘ

მოთხოვნა ინტერესის გამოსახატავად

საქართველო

აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის გაუმჯობესების

მეოთხე პროექტი (EWHIP-4)

კრედიტი/სესხი IDA 5245-GE; IBRD 8263-GE

პროექტის No.: P130413

დავალების სახელწოდება: E-60 ჩქაროსნული მაგისტრალის (ნატახტარი - აგარას მონაკვეთი კმ28 - კმ114) საგზაო უსაფრთხოების გაუმჯობესების და მისასვლელი გზების მოწყობის სამუშაოების ზედამხედველობა

კონტრაქტი/ RFP No: EWHIP-4/CS/CQS-07

საქართველომ მსოფლიო ბანკისგან მიიღო დაფინანსება **აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის გაუმჯობესების მეოთხე პროექტისთვის**. აღნიშნული დაფინანსების გარკვეული ნაწილი გამოყენებული იქნება ხსენებული პროექტის ფარგლებში შესასყიდი საქონლის, სამუშაოების, საჭირო მომსახურებისა და საკონსულტაციო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად, რაც საქართველოს მთავრობის თანადაფინანსებით მოხდება.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი იწვევს უფლებამოსილ კონსულტანტებს ინტერესის გამოსახატად შემდეგი საკონსულტაციო მომსახურების გასაწევად: **"E-60 ჩქაროსნული მაგისტრალის (ნატახტარი - აგარას მონაკვეთი კმ28 - კმ114) საგზაო უსაფრთხოების გაუმჯობესების და მისასვლელი გზების მოწყობის სამუშაოების ზედამხედველობა".**

დავალების სავარაუდო ხანგრძლივობაა 6 თვე + 12 თვე დეფექტებზე პასუხისმგებლობის პერიოდი.

დაინტერესებულმა კომპანიებმა უნდა წარმოადგინონ აღნიშნული მომსახურების გასაწევად საჭირო გამოცდილების დამადასტურებელი ინფორმაცია. ინტერესის გამოხატვა უნდა მოიცავდეს (მაგრამ არ არის შეზღუდული) შემდეგს: შესაბამისი გამოცდილება პროექტის ღონისძიებებთან მიმართებაში, ძირითადი პერსონალის კვალიფიკაცია, კორპორატიული პროფილი.

დაინტერესებულმა კონსულტანტებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ მსოფლიო ბანკის ინსტრუქციების - „მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება [რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (IBRD) სესხის და განვითარების საერთაშორისო ასოციაციის (IDA) კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში]" (2011 წლის იანვრის გამოცემა, განახლებული 2014 წლის ივლისში („კონსულტანტების სახელმძღვანელო პრინციპები") - 1.9 პარაგრაფზე,სადაც განსაზღვრულია მსოფლიო ბანკის პოლიტიკა ინტერესთა კონფლიქტის შესახებ. ამასთანავე, გთხოვთ გაითვალისწინოთ ქვემოთ მოცემული სპეციფიკური ინფორმაცია, რომელიც ეხება აღნიშნულ დავალებასთან დაკავშირებულ ინტერესთა კონფლიქტს: კონსულტანტი დავალებასთან მიმართებაში ანაზღაურებას მიიღებს მხოლოდ კონტრაქტში მითითებული პირობების შესაბამისად. დაუშვებელია კონსულტანტისა და მისი ფილიალების მონაწილეობა ისეთ საკონსულტაციო ან სხვა ღონისძიებებში, რომლებიც კონტრაქტის თანახმად დამკვეთთან ინტერესთა კონფლიქტს წარმოშობს. კონტრაქტი უნდა მოიცავდეს პირობებს, რომლითაც იზღუდება მომავალში კონსულტანტის მონაწილეობა სხვა მომსახურებებში, რომელიც გამომდინარეობს ან პირდაპირ კავშირშია ფირმის საკონსულტაციო მომსახურეობებთან ინსტრუქციების 1.9 და 1.10 პარაგრაფებით გათვალისწინებული მოთხოვნების თანახმად.

კონსულტანტებს კვალიფიკაციის გაუმჯობესების მიზნით შეუძლიათ გაერთიანდნენ *(გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ მსოფლიო ბანკისთვის მისაღები გაერთიანების ფორმაა ან ქვე-კონსულტანტი ან ერთობლივი საწარმო. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ნათლად უნდა იყოს მითითებული ასოციაციის სახე)*. ქვე-კონსულტანტების გამოცდილება არ იქნება გათვალისწინებული კომპანიის კორპორატიული გამოცდილების შეფასების დროს. დავალების შესაბამისი პროექტების განხორციელების გამოცდილება წარმოდგენილ უნდა იქნას №1 ფორმის სახით, რომელიც განთავსებულია საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებ-გვერდზე www.georoad.ge შემდეგ ბმულზე: http://www.georoad.ge/?lang=geo&act=tenders&func=menu&uid=1490604057

კონსულტანტების მიერ წარმოდგენილი ინტერესის გამოხატვა არ უნდა აღემატებოდეს 30 გვერდს. დანართის სახით შესაძლებელია კომპანიის ბროშურის წარმოდგენა, რაზეც გვერდების რაოდენობის შეზღუდვა არ ვრცელდება.

კონსულტანტის შერჩევა მოხდება კონსულტანტის კვალიფიკაციის საფუძველზე (CQS) შერჩევის მეთოდით მსოფლიო ბანკის შესყიდვის სახელმძღვანელოში განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად: მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება (2011 წლის იანვრის გამოცემა, განახლებული 2014 წლის ივლისში).

დაინტერესებულ კონსულტანტებს უნდა გააჩნდეს შესაბამისი კვალიფიკაცია გამოცდილება.

მოკლე სიაში შეყვანის კრიტერიუმებია:

- ზოგადი გამოცდილება საგზაო ინფრასტრუქტურულ პროექტებში;
- ანალოგიური გამოცდილება - გზების რეაბილიტაციის ან მშენებლობის სამუშაოების ზედამხედველობის გამოცდილება ბოლო 5 წლის განმავლობაში (2012 წლის პირველი იანვრიდან).

შეფასებისას მოხდება მხოლოდ წარმატებით დასრულებული დავალებების გათვალისწინება.

საავტომობილო გზების დეპარტამენტი იტოვებს უფლებას გადაამოწმოს წარმოდგენილი საბუთები და მოპოვებული ინფორმაცია გამოიყენოს შეფასების მიზნებისთვის.

დაინტერესებულ კონსულტანტებს დამატებითი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ იმეილზე: info@georoad.ge

ინტერესის გამოხატვის ელექტრონული ან ბეჭდური ვერსია წარმოდგენილი უნდა იქნას ქვემოთ მითითებულ მისამართზე არაუგვიანეს **2017 წლის 18 დეკემბრის 17:00 საათისა.**

სახელი: გიორგი სეთურიძე

თანამდებობა: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე

მისამართი: ალ.ყაზბეგის გამზირი №12, თბილისი 0160, საქართველო

ელ.ფოსტა: info@georoad.ge

ვებ-გვერდი: www.georoad.ge

REQUEST FOR EXPRESSION OF INTEREST

Georgia

Fourth East-West Highway Improvement Project (EWHIP-4)

Credit/Loan No. IDA 5245-GE; IBRD 8263-GE

Project No. P130413

Assignment Title: Supervision of Works for Road Safety Improvements and Access Roads of Existing E-60 Highway (km28 - km114 Natakhtari - Agara Section)

Contract/RFP No: EWHIP-4/CS/CQS-07

Georgia has received financing from the World Bank towards the cost of the **Fourth East-West Highway Improvement Project (EWHIP-4)** and intends to apply part of the proceeds to payments for goods, works, and related services and consulting services to be procured under this project which will be jointly financed by the Government of Georgia.

The Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia (RDMRDI) now invites eligible consulting companies to express their interest in providing the following services: **"Supervision of Works for Road Safety Improvements and Access Roads of Existing E-60 Highway (km28 - km114 Natakhtari - Agara Section)".**

The estimated duration of assignment is 6 months for works + 12 months of Defects Liability Period.

Interested companies shall provide information demonstrating that they have the necessary experience to perform the aforesaid services. Expressions of interest should cover, but not limited to: Experience relevant to the project activities, key staff resources and qualification, corporate profile.

The attention of interested Consultants is drawn to paragraph 1.9 of the World Bank's *Guidelines: Selection and Employment of Consultants [under IBRD Loans and IDA Credits & Grants] by World Bank Borrowers*, January 2011, revised in July 2014 ("Consultant Guidelines"), setting forth the World Bank's policy on conflict of interest. In addition, please refer to the following specific information on conflict of interest related to this assignment: The consultant shall not receive any remuneration in connection with the assignment except as provided in the contract. The consultant and its affiliates shall not engage in consulting or other activities that conflict with the interest of the client under the contract. The contract shall include provisions limiting future engagement of the consultant for other services resulting from or directly related to the firm's consulting services in accordance with the requirements of paragraphs 1.9 and 1.10 of the Guidelines.

Consultants may form an association (*Please take into account that form of association acceptable for the World Bank is either sub-consultancy or Joint-Venture and submission must clearly indicate the nature of the association*) to enhance their qualifications. The experience of sub-consultants will not be taken into account while evaluating the corporate experience of the company. Experience in the projects relevant to the assignment should be submitted in the Form N1 uploaded at Roads Department website on www.georoad.ge on the following link:

http://www.georoad.ge/?lang=eng&act=tenders&func=menu&uid=1490604057

The consultants are strongly advised to limit their Expression of Interest to 30 pages. Company brochures may be included as an Annex, and will not be affected by the limit of 30 pages.

A consultant will be selected in accordance with the "Consultant's Qualification Selection" procedures set out in World Bank's *Guidelines: Selection and Employment of Consultants [under IBRD Loans and IDA Credits & Grants] by World Bank Borrowers* , January 2011, revised in July 2014 ("Consultant Guidelines"). On the basis of submitted Expressions of Interest, a short-list will be established and highest ranked consultant will be requested to submit technical and financial proposal.

Required Qualification of the Consultant:

The Interested Consultants should provide information demonstrating that they have the required qualifications and relevant experience to perform the Services.

Shortlisting Criteria:

The Consultant will be selected using the following evaluation criteria:

- General Experience in road infrastructure assignments;
- Similar experience in Supervision of road construction/rehabilitation assignments during the last 5 years (assignments completed in or after 2012);

Only SUCCESSFULLY COMPLETED assignments will be taken into account during evaluation.

Note: The Road Department reserves it's right to verify submitted references and use obtained information for evaluation purposes.

Interested consultants may obtain further information at the address: info@georoad.ge

Expressions of Interest electronically or in printed materials must be delivered to the address below not later than **December 18, 2017, 17:00 hours.**

Name: Giorgi Seturidze
Position: Chairman of Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia
Address: 12 Al. Kazbegi Avenue, Tbilisi, 0160, Georgia
Email: info@georoad.ge
Web-Site: www.georoad.ge

განცხადება

გატყობინებთ რომ 2017 წლის 16 დეკემბერს ტარდება შპს „ფოთილოჯისთიქსის" (ს/კ 215081854), ყოფილი სს „ფოთინავთობპროდუქტები" საერთო პარტნიორთა კრება.

დღის წესრიგი – შპს „სოიასტარის" მიერ პარტნიორთა საკუთრებაში არსებული წილების შეძენა.

კრება ჩატარდება 2017 წლის 16 დეკემბერს ქ.ფოთში, კოკაიას ხეივანი № 8, კრების დაწყების დრო – 13 : 00 სთ.

შპს „ფოთილოჯისთიქსის" დირექტორი
თეიმურაზ მიმინოშვილი
მობ : 555425555

◎ რაგბი ჩვენი თამაშია!

უმცროსები ემზადებიან

უმცროსი „ბორჯღალოსნები“ გაისად პოლონეთში გასამართი 18-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატისთვის ემზადებიან და 28 ნოემბრიდან „შევარდენის“ სანაკრებო ბაზაზე პირველ შეკრებაზე შევიდნენ.

მანამდე მწვრთნელებს სასელექციო პროცესი ჰქონდათ. მასში ის მორაგბეები იყვნენ ჩართული, რომლებსაც განვლილ პერიოდში 18-წლამდელთა გუნდთან ერთად არ უვარჯიშიათ, ახლა კი ნაკრები სრული შემადგენლობით შეიკრიბა.

მთავარი მწვრთნელის დავით ჩავლეიშვილის განცხადებით, ამ 10-დღიანი შეკრების მიზანი ერთმანეთის კარგად გაცნობა და ფიზიკური კონდიციების გაუმჯობესებაა:

„შეკრების განმავლობაში ბიჭებს უკეთ გავიცნობთ, ვნახავთ, რისი გაკეთება შეგ-

ვიძლია, მათ ჩვენს მიზნებსა და გეგმებს დავუსახავთ. გარდა ამისა, ვიმუშავებთ ფიზიკური კონდიციების გასაუმჯობესებლად. შეკრებაზე 40 მოთამაშე გვყავს. მათი ნახევარი 18-წლამდელთა შეკრებაზე გასულ ციკლშიც გამოვცადეთ და ეს ადაპტაციას გაგვიიოლებს. გვყავს, ასე ვთქვათ, სარეზერვო ჯგუფიც, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში ტრავმირებული მოთამაშის ჩასანაცვლებლად მზად იქნებიან. იმედია, ამის საჭიროება არ გვექნება“.

შეკრების დასასრულს, 7 დეკემბერს, თბილისში დასავლეთის გუნდი ჩამოვა, რომელიც 19-წლამდე ასაკის მოთამაშეებით იქნება გაძლიერებული და გაიმართება საკონტროლო თამაში, ევროპის ჩემპიონატამდე კი უმცროსი „ბორჯღალოსნები“ უცხოურ შეკრებას გეგმავენ, სადაც ორ-სამ საკონტროლო თამაშსაც ჩაატარებენ.

ევროპის ჩემპიონატს გაისად პოლონეთი 23 მარტიდან 1 აპრილამდე უმასპინძლებს და მასში მხოლოდ ევროპული გუნდები მიიღებენ მონაწილეობას. სამწუხაროდ, შარშანდლის შემდეგ 18-წლამდელთა ევროპის ღია ჩემპიონატზე თამაშზე უარი იაპონიის, კანადისა და აშშ-ს ნაკრებებმა თქვეს და ტურნირს ძლიერი ქვეყნებიდან კვლავ მხოლოდ საფრანგეთი შემორჩა.

ჩავლეიშვილი ფიქრობს, რომ ეს გუნდის მოტივაციაზე უარყოფითად არ აისახება:

„გულდასაწყვეტია, რომ იაპონია, კანადა და აშშ ტურნირიდან გავიდნენ, თუმცა, ეს ჩვენს მოტივაციაზე არ აისახება. ამ ბიჭებისთვის რუმინეთის, პორტუგალიის, ესპანეთის და რუსეთის წინააღმდეგ თამაში საინტერესოა, თუმცა, მათი პერსპექტივისთვის, რა თქმა უნდა, სჯობდა, რომ უფრო ძლიერი მეტოქეები გვყოლოდა. მიზანი წინა წლების მსგავსად ფინალში გასვლაა, სადაც, სავარაუდოდ, კვლავ საფრანგეთთან მოგვიწევს შეხვედრა და უნდა ვეცადოთ, რომ ამჯერად მათთან უფრო მეტს მივაღწიოთ“.

18-წლამდელთა გაფართოებული შემადგენლობა: ნიკა სომხიშვილი (არმია), გიორგი ქიმუცაძე (აია), დავით აბდუშელიშვილი (ლელო-სარასენსი), გიორგი ვარდოსანიძე (ხვამლი), საბა კურატიშვილი (არმაზი), ვანო პარკაძე (აია), ლუკა პეტრიაშვილი (ხვამლი), ლუკა ჭელიძე (ლელო-სარასენსი), ნიკა ფიროსმანიშვილი (თბილისი), ირაკლი პურიჭამიაშვილი (ხარები), ვლადიმერ ჩაჩანიძე (ლელო-სარასენსი), ლუკა მაჭარაშვილი (არმაზი), დავით გვიდიანი (აია), ლუკა მუჩიაშვილი (ვეფხვები), იოანე იაშაღაშვილი (იუნკრები), ვაჟა მაისურაძე (ლელო-სარასენსი), ლუკა კოხია (აია), ნიკა ღამბაშიძე (ლელო-სარასენსი), გიგა კობახიძე (ბაგრატი), გიგი ლეშკაშელი (ბაგრატი), საბა კურტანიძე (ხვამლი), მიხეილ ალანია (ჯიქი), გიორგი მარგალიტაძე (ლელო-სარასენსი), ფრიდონ წიკლაური (ხვამლი), დავით გობეჯიშვილი (აია), ნიკა ცინცაძე (ხვამლი), დაჩი პაპუნაშვილი (არმია), ლაშა ლომიძე (აია), დემე თაფლაძე (ლელო-სარასენსი), ირაკლი სიმსივე (აია), ბართლომე კალაძე (იუნკრები), სანდრო დვალი (ლოკომოტივი), ზუკა მინდიაშვილი (აკადემია), ოთარ ლაშხი (ჩოხოსნები), ზურა ქავთარაძე (ხარები), გოჩა ჩანადირი (არმაზი), გიორგი მიქანაძე (არმია), დავით გასვიანი (აია), თეიმურაზ ჭიჭინაძე (ჯიქი), დავით ცაგარეიშვილი (ლელო-სარასენსი).

მთავარი მწვრთნელი: დავით ჩავლეიშვილი

კობა კობახიძე

საფეხბურთო მოზაიკა

რუსეთის პრემიერლიგაში ლიდერობას ინარჩუნებს „ლოკომოტივი“. „რკინიგზელებმა მე-17 ტურში ხაბაროვსკის „სკა ენერგია“ სტუმრად ჯეფერსონ ფარფანის ბოლო წუთზე გატანილი გოლით 2:1 დაამარცხეს.

თამაშის შემდეგ აღნიშნული მატჩის შესახებ კომენტარი მოსკოველთა ქართველმა მცველმა სოლომონ კვირკველიამ გააკეთა:

„ხაბაროვსკში გამარჯვებისთვის ჩამოვედით და სასიხარულოა, რომ მიზანს მივაღწიეთ. სიცივე? – თამაშის დროს ამისთვის ყურადღება არც მიგვიქცევია. სამწუხაროდ, ვლად იგნატიევმა ტრავმა მიიღო. იმედი მაქვს, ყველაფერი კარგად იქნება.

დარწმუნებული ვარ, „რუბინთან“ შეხვედრაში გულშემატკივრის დიდი მხარდაჭერა გვექნება“, – უთხრა სოლომონმა „ლოკომოტივის“ ვებ-გვერდს.

ზემოხსენებულ მატჩში კვირკველიამ 90 წუთი ითამაშა. მის დარად, ასევე შეუცვლელად გაისარჯა „სკა ენერგიას“ ქართველი მცველი გიორგი ნავალოვსკი.

ესპანური „სევილიას“ მთავარ მწვრთნელ ედუარდო ბერიცოს ოპერაცია გაუკეთდა, რომელმაც წარმატებით ჩაიარა. აღნიშნულ ინფორმაციას გუნდის ვებ-გვერდი ავრცელებს.

აღსანიშნავია, რომ ოპერაციას გაუთვალისწინებელი გართულებები არ მოჰყოლია. ბერიცოს წინ ხანგრძლივი სარეაბილიტაციო პერიოდი ელოდება.

შეგახსენებთ, რომ არგენტინელ სპეციალისტს სიმსივნე აღმოაჩნდა, რომლის შესახებაც ცნობილი ჩემპიონთა ლიგაში „ლივერპულთან“ დაპირისპირების დროს გახდა.



მადრიდის „რეალის“ მთავარმა მწვრთნელმა ზინედინ ზიდანმა ესპანეთის თასის 1/16-ფინალში „ფუენლაბრადასთან“ „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ფრედ დასრულებული მატჩის შემდეგ კრიტიკის პასუხად აღნიშნა, რომ მთავარია მისმა გუნდმა მომდევნო ეტაპის საგზური მოიპოვა და მნიშვნელობა არ აქვს, ვინ რას იტყვის.

„სამეფო კლუბმა“ ესპანეთის მესამე დივიზიონის წარმომადგენელს პირველი შეხვედრა სტუმრად 2:0 მოუგო, საკუთარ მოედანზე კი 2:2 ითამაშა.

„მოხარული ვარ, რომ შემდეგ ეტაპზე გადავედით. ჩვენმა ოპონენტებმა ძალიან კარგი მატჩი ჩაატარეს, თუმცა, აქ ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტი ის არის, რომ ჩვენ მორიგი რაუნდი დავძლიეთ. ხალხს შეუძლია ის თქვას, რაც უნდა, მაგრამ ჩემი მოთამაშეები ბოლომდე იბრძოდნენ. ბევრ მათგანს მთავარ გუნდში ნათამაშებიც არ ჰქონდა და მე მათ შანსი მივეცი“ – განაცხადა ზიდანმა.

შეგახსენებთ, რომ აღნიშნულ მატჩში მოედანს ორთვიანი უქმობის შემდგომ გარეთ ბეილი დაუბრუნდა.

გიორგი ზოთაძე

◎ კალათბურთი



ნბა-ში გამორჩეულნი

ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის გასული კვირის საუკეთესო მოთამაშეებად დასავლეთში „ნიუ ორლეანის“ ცენტრი ენტონი დევისი, ხოლო აღმოსავლეთში „მაიამი ჰითის“ ერთ-ერთი ლიდერი გორან დრაგიჩი დაასახელეს.

აღნიშნულ პერიოდში ფლორიდელებმა სამივე შეხვედრა მოიგეს, გორანი კი საშუალოდ ერთ თამაშში 23.7 ქულას და 4.3 პასს აგროვებდა.

რაც შეეხება „პელიკანსს“, სამი შეხვედრა მოიგო და ერთი წააგო, ხოლო დევისი საშუალოდ ერთ მატჩში 29.5 ქულას და 12.5 მოხსნას აკეთებდა.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ინტერნეტიდან

გლამურული მედიის საკბილო

ესპანელი გოლკიპერის დავიდ დე ხეას ცოლი, მოდელი ედურნე გარსია ევროპის ბულვარული მედიისათვის ერთ-ერთი ყველაზე სასურველი საკბილოა და ამ სასურველობის მიზეზს, რასაკვირველია, თავად სენიორა ედურნე იძლევა თავისი სილამაზითა და განსაკუთრებულობით.

შარშან დევიდის თანამეცხედრე ერთ-ერთმა გლამურულმა ჟურნალმა ფეხბურთელთა ტურფებს შორის ყველაზე ლამაზად დაასახელა და ჟურნალის გარეკანზეც მიუჩინა ადგილი, თანაც თვლა არა აქვს იმ დითირამბებსა და შაქარყინულიან სიტყვებს, რაც ამ ქალზე ითქმება.

ერთი ისაა, რომ დევიდ დე ხეა, მისი მრავალი კოლეგის მსგავსად, რჩეულთან ყოველგვარი ხელმოწერის გარეშე ცხოვრობს და მიუხედავად იმისა, რომ მშვენიერ ედურნეს მეუღლედ მოიხსენიებს, „კონკასთან“ ჩავლასაც კი ცოცხალი თავით არ აპირებს, რადგან ეშინია ცოლთან დაშორების შემთხვევაში ქონების გაყოფის და რა ქნას...

როსტომ რაჭველიშვილი

◎ ძალოსნობა

მიშველიძის ამერიკული „ბრინჯაო“

ანაჰაიმში (აშშ) დაიწყო ძალოსანთა მსოფლიოს 2017 წლის ჩემპიონატი, რომელშიც ქართველთაგან პირველი 62 კილოგრამ წონით კატეგორიაში შოთა მიშველიძე ჩაება, რომელმაც ორჭიდის ჯამში 298 კილოგრამით მესამე ადგილი დაიკავა. ჩვენებურმა 135 კილო აიტაცა და მე-4 ადგილი დაიკავა, აკვრაში 163 კილოგრამით მეხუთე იყო, ორჭიდში კი „ბრინჯაო“ ერგო. ატაცში ერთი ცდა (130 კილოზე) რომ არ გაცუდებოდა, შესაძლოა, ჩემპიონობაც მოეპოვებინა. საბოლოოდ პირველ-მეორე ადგილებზე კოლუმბიელი ფრანსისკო ანტონიო მოსკერა ვალენსია (300 კგ) და იაპონელი იოიჩი იტოკაცუ (299) გავიდნენ.

ამერიკულ ფიცარნაგზე საქართველოს ძალოსანთა ნაკრების კიდევ სამი წევრი მოსინჯავს ძალებს, მათ შორის — ოლიმპიური, მსოფლიოსა და ევროპის მოქმედი ჩემპიონი ლაშა ტალახაძე. ჩვენებურთა გამოსვლის განრიგი ასეთია: **3 დეკემბერი,** 23:55 — რევაზ დავითაძე (85 კგ), **5 დეკემბერი,** 7:55 — ანასტასია გოტფრიდი (90 კგ), **6 დეკემბერი,** 5:25 — ლაშა ტალახაძე (+105 კგ).

ლაშა დიდია

◎ ტაეკვონდო

პრელუდია რამლაში

7 დეკემბრიდან ბულგარეთის დედაქალაქი სოფია ტაეკვონდოში ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს. იმ შეჯიბრებაში ორი ქართველი სპორტსმენი მოსინჯავს ძალებს — მერაბ შუკაკიძე (68 კგ) და ბადრი პაქსაშვილი (58 კგ). ორივე ჩვენებურმა ამას წინათ ისრაელის ქალაქ რამლაში ტრადიციულ მე-15 საერთაშორისო ტურნირში იასპარეზა. შეჯიბრებაში 20 ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. მერაბ შუკაკიძემ პირველ წრეში მასპინძელ ნიმროდ კრივიცკის 17:7 მოუგო, მერე სან-მარინოელი მიქელე ჩეკარონი დაამარცხა — 23:6, ნახევარფინალში ილან ბრაგინსკის (ისრაელი) სძლია — 17:16, გადამწყვეტი პაექრობა კი ევროპის ჩემპიონ კონსტანტინოს ჩამალიდისთან (საბერძნეთი) 6:12 დათმო და ვერცხლის მედალს დასჯერდა.

გივი გაგუა

ხსოვნა

დიმა ჯაიანი, შალვა მგალობლიშვილი, რომან ლუტიძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გიგა დუნდუა

და სამძიმარს უცხადებენ ოჯახის წევრებს.

დაზუსტება

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ა. წ. 22 ნოემბრის ნომერში გამოქვეყნდა ინფორმაცია „მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის ფასის შესახებ“ (მიმწოდებელი შპს „გოგოჭური და კომპანია“). განცხადებაში გამორჩენილია ფასის ცვლილების ამოქმედების თარიღი. ვაზუსტებთ — ცვლილება ბუნებრივი გაზის ფასის შესახებ ამოქმედდება 2018 წლის 1 იანვრიდან.

შპს „გოგოჭური და კომპანიის“ დირექცია

„რომანოვების სასახლის“ პროექტირება გაზაფხულიდან დაიწყება

ტურისტებისთვის კი არა, ეს უნიკალური გამაჯანსაღებელი კომპლექსი დაავადებული ქართველი ხალხისთვის უნდა გაკეთდეს!

„რომანოვების სასახლის“ პროექტირება გაზაფხულიდან დაიწყება — ამის შესახებ ობიექტის მმართველმა, საპარტნიორო ფონდის აღმასრულებელმა დირექტორმა დავით საგანელიძემ „კომერსანტს განუცხადა. მისი თქმით, „რომანოვების სასახლის“ პროექტისთვის ტენდერის საფუძველზე სამი კომპანია გამოვლინდა. აქედან ერთი შენობის რესტავრაციას ჩაატარებს, მეორე — მუზეუმოგრაფიას, მესამე — პარკის ტერიტორიის.

„ამ ეტაპზე სამივე კომპანია დეტალურ ბიზნესგეგმას ამუშავებს. ფინანსურ დაანგარიშებას აკეთებენ. გაზაფხულზე პროექტის საბოლოო ვარიანტი გვექნება. აქვე გეტყვით იმას, რომ აღნიშნული პროექტის დამუშავება საკმაოდ რთული პროცედურაა. ყველა შტრიხი საარქივო მასალებთან მუშაობის შედეგადად უნდა დადგინდეს. გაზაფხულზე მათი პროექტები და ფინანსური ბიუჯეტის განხილვა მოხდება და შემდეგ უკვე დამტკიცდება. ასე რომ, გაზაფხულიდან პროექტირების პროცესიც დაიწყება“, — აცხადებს საგანელიძე.

როგორც ცნობილია, მთავრობის განკარგულებით, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ ბორჯომლიკანის ყოფილი სამთავრობო რეზიდენცია, ე.წ. „რომანოვების სასახლე“ სამართავად საპარტნიორო ფონდს 2016 წლის გაზაფხულზე გადასცა.

დავით საგანელიძემ „კომერსანტს“ 2017 წლის მაისში განუცხადა, რომ საპარტნიორო ფონდმა კულტურის სამინისტროს ძეგლთა დაცვის სააგენტოსთან ერთად გამოაცხადა ტენდერი, სადაც მონაწილეობა 10-ზე მეტმა კომპანიამ მიიღო. შედეგად, შეირჩა 3 კომპანია (ICOMOS-ის საქართველოს ეროვნული კომიტეტი -ICOMOS Georgia, შპს არქიტექტორები.ჯი2, ააიპ საქართველოს მემკვიდრეობა), რომლის გაერთიანების შედეგადაც ჩამოყალიბებული კონსორციუმი ობიექტის რესტავრაციას განახორციელებს.

მაშინ საგანელიძე აცხადებდა, რომ ობიექტის რესტავრაცია რამდენიმე ნაწილისგან შედგება, მათ შორისაა, შენობის და ბაღის რესტავრაცია. ამბობდა, რომ 20 სექტემბერს ყველა კომპანია წარადგენდა პროექტს თავისი ბიუჯეტით, შემდეგ ეს დამტკიცდება მთავრობაზე და უკვე სამშენებლო სამუშაოები მიმდინარე წლის შემოდგომაზე დაიწყებოდა.

როგორც ცნობილია, „რომანოვების სასახლის“ პროექტირებაზე დაახლოებით 600 000-800 000 ლარი დაიხარჯა. საგანელიძე ამავე პერიოდში „კომერსანტთან“ აცხადებდა, რომ „რომანოვების სასახლე“ ტურისტებს 2019 წლის ბოლოდან მიიღებდა.

„ფონდი „რომანოვების სასახლის“ და ზოგადად, ლიკანის ტერიტორიის რესტავრირებას გეგმავს. აღსადგენია აუზები, შადრევნები, კიბეები, გალავანი. ძალიან ბევრი ქანდაკება დაკარგულია, ზოგიც სხვადასხვა მუზეუმშია გაბნეული. თვითონ შენობა საკმაოდ მძიმე მდგომარეობაშია. შესაბამისად, ობიექტის აღდგენაში ჩვენ მსოფლიოს საუკეთესო რესტავრატორები უნდა ჩავრთოთ“, — აცხადებდა რამდენიმე თვის წინათ საგანელიძე.

„ყოფილი სამთავრობო რეზიდენციისა და 7 ჰა მიწის ფართობზე არსებული პარკის სარეკონსტრუქციო სამუშაოებს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მხარდაჭერით საპარტნიორო ფონდი დააფინანსებს. პროექტზე ამ დროისთვის დარგის სპეციალისტები მუშაობენ. „რომანოვების სასახლის“ რესტავრაციის შემდეგ დაცული იქნება ობიექტის ძეგლის სტატუსი და შენარჩუნდება მისი ავთენტურობა. სასახლეში მოეწყობა მუზეუმი, სადაც განთავსდება კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ძეგლის სტატუსის მქონე რესტავრირებული ნივთები, გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები და კულტურული ფასეულობები. **„რომანოვების სასახლე საქართველოში უცხოელი ვიზიტორებისთვის მიმზიდველი ადგილი გახდება, რაც სასტუმრო კომპლექს „რიქსოს ბორჯომის“ საერთაშორისო მნიშვნელობას კიდევ უფრო გაზრდის. აღდგენილი „რომანოვების სასახლე“ რეგიონში უამრავ ტურისტს მოიზიდავს“.**

ცნობილია, რომ რეზიდენცია 2015 წელს სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხაში შედიოდა, მაგრამ მოგვიანებით ის გასაყიდი ობიექტების სიიდან ამოიღეს. 2005 წლიდან რომანოვების სასახლეს საზაფხულო რეზიდენციად ექსპრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი იყენებდა.

ასევე ცნობილია, რომ საპარტნიორო ფონდი „ყაზმუნაი გაზთან“ იმავე ტერიტორიაზე ხუთვარსკვლავიან „რიქსოსის“ სასტუმროს ფლობს. საპარტნიორო ფონდს ობიექტი 25-წლიანი მართვის უფლებით გადაეცა.

თეონა კენჭიაშვილი

ვესტიციდების ზემოქმედება:

ზოგადობიდან - კიბომდე!

იმ ხილის და ბოსტნეულის მიღება, რომელშიც მაღალია პესტიციდების შემცველობა, ქალებში შესაძლოა, დაბალ შობადობას უკავშირდებოდეს, ნათქვამია სამეცნიერო ჟურნალ „ჯამაში“ 30 ოქტომბერს გამოქვეყნებულ კვლევაში, რომელშიც 325 ქალი მონაწილეობდა. ცხოველებზე ჩატარებულმა ექსპერიმენტებმაც აჩვენა, რომ პესტიციდებით დაბინძურებულ გარემოსთან ადეკვატური კონცენტრაციით გაკეთებული პესტიციდების ინიექციის შემთხვევაში, ცოცხალი ნაყოფით მშობიარობის შანსები მცირდებოდა.

ჰარვარდის უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლის მეცნიერებმა ის ფაქტორები შეისწავლეს, რომელიც რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე მოქმედებს. მათვე აღმოაჩინეს, რომ სუპერმარკეტში გაყიდულ ზოგიერთ პროდუქტში პესტიციდების რაოდენობა განსაკუთრებით მაღალია, მაგალითად, მარწყვში, ისპანახში და წიწაკაში. შედარებით დაბალი იყო ლობიოში და ავოკადოში.

ბრიტანულ სუპერმარკეტში გაყიდულ პროდუქტებში ქიმიკატების რაოდენობა ბოლო 40 წელიწადში 17-ჯერ გაიზარდა. ეს მონაცემები 20 ნოემბერს გახდა ცნობილი მედიცინის სამეფო საზოგადოების კონფერენციაზე, სადაც მოხსენებით გამოვიდა ორგანიზაცია „ნიადაგის ასოციაცია“. ეს ის ორგანიზაციაა, რომელიც გაერთიანებულ სამეფოში ორგანულად მოყვანილ პროდუქტებზე სერტიფიკატს გასცემს. პესტიციდებით განსაკუთრებით დაბინძურებულ სხვა პროდუქტებთან ერთად, დასახელებული იყო ხორბალი, ხახვი, ჭარხალი და კარტოფილი, რომელშიც 1960 წლიდან მოყოლებული, პესტიციდების რაოდენობა პროგრესულად იზრდება. ინფორმაციას კონფერენციის შესახებ ბრიტანული გაზეთი „დეილი ტელეგრაფი“ აქვეყნებს.

მეცნიერები გვაფრთხილებენ, რომ ტოქსიკური პესტიციდების რეგულარულად მიღება ჯანმრთელობისთვის საზიანოა. ცალკეული ქიმიკატი შესაძლოა, მცირე დოზით ტოქსიკური არ იყოს, მაგრამ სხვა ნივთიერებებთან კომბინაციაში, ე.წ. „ტოქსიკური კოქტეილები“ წარმოიქმნება, რომელიც უკავშირდება ისეთ დაავადებებს, როგორიცაა კიბო, ინსულტი და ინფარქტი.

ადრეულმა კვლევებმა აჩვენა, რომ პესტიციდების შემცველი საკვების მიღება ასევე შეიძლება უკავშირდებოდეს აუტიზმს. 2017 წლის დასაწყისში, გაეროს ადამიანის უფლებების საბჭოსთვის წარდგენილ ანგარიშში ნათქვამია, რომ პესტიციდებს გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე კატასტროფული შედეგი აქვს. **„პესტიციდებთან ქრონიკული შეხება უკავშირდება კიბოს, ალცჰაიმერს, პარკინსონს, ჰორმონალურ დარღვევებს, გონებრივი განვითარების პრობლემებს და სტერილობას“** — ნათქვამია ანგარიშში.

შეერთებული შტატების ჯანდაცვის ეროვნული ინსტიტუტი პესტიციდებით ორგანიზმისთვის მიყენებული მრავალი ტიპის ზიანს შორის ასახელებს დაავადებათა ფართო სპექტრს, მათ შორის: კანცეროგენულს, ნევროლოგიურს, რეპროდუქტიულს, დერმატოლოგიურს, გასტროენტეროლოგიურს. მაღალი დოზით მიღება შესაძლოა ჰოსპიტალიზაციით და დაღუპვითაც დასრულდეს. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის კლასიფიკაციით, პესტიციდები კანცეროგენული (შესაძლოა, გამოიწვიოს კიბო), ნეიროტოქსიკური (შეუძლია თავის ტვინის დაზიანება) და ტერატოგენურია (ორსულის ნაყოფის დაზიანება შეუძლია).

მკვლევარები ფიქრობენ, რომ პესტიციდები განსაკუთრებით ჭარბი რაოდენობით გროვდება მცენარეების კანში. ის მცენარეები, რომელსაც სქელი კანი აქვს (მაგალითად, ავოკადო, ნესვი, გოგრა), შესაძლოა, მეტად დაცული იყოს. მეცნიერები გვირჩევენ, შეძლებისდაგვარად ორგანულად მოყვანილი პროდუქტი შევიძინოთ და ასევე გვაფრთხილებენ, რომ წყლით კარგად გარეცხვა პესტიციდების პრობლემას არ ხსნის. მასაჩუსეტსის უნივერსიტეტში ჩატარებულმა ექსპერტიზამ, რომელიც ოქტომბრის ბოლოს გამოქვეყნდა, აჩვენა, რომ მხოლოდ სოდიან წყალში 15 წუთით დალბობის და გარეცხვის შემთხვევაში, შესაძლებელია, რომ ვაშლის კანში ზოგიერთი პესტიციდის რაოდენობამ დაიკლოს.

მაია ძვარცხავა

პარალელები

ვ ა ლ ი

ფიქრი „საქართველოს რესპუბლიკაში“ ნუგზარ ფოფხაძის მიერ დასახელებულ ბერლინის კედლის ორ ფრაგმენტზე

თვალი შორიდან უკეთ ხედავს, ვინ ვის რას უზღავს
და ამიტომაც ვეკითხები ფოფხაძე ნუგზარს:
თავისუფლები გვქვია, მაგრამ ამოდ არ მოგვდგამს,
თავს გვანყევლინებს თეთრი დათვი და მისი მოდგმა,
რომლებსაც გულზე არასოდეს არ ვეხატებით;
მათ დაგვყვეს სამად და შეგვბორკეს მავთულხლართებით!..
ბერლინიდან რომ ამ დროს კედლის ფრაგმენტი მოდის,
თუკი არ არის ორგზის ძღვენი აყოლა მოდის,
საჩუქრის შემდგომ რა მოელის სანუკვარ ლოდინს,
ვალს მავთულხლართთა ნაკუწებით გადვიხდით როდის?
...გერმანელები კედლის მსხვრევით გახდნენ რანიცა,
იმ გზას გაივლის თავდახსნილი ამირანიცა?

ა ნ კ ე ს ი

აკუნტრუშება ოდითგან მოგვდევს,
ზოგს მხსნელს ვუწოდებთ, ზოგს – ზეკაცს, ზოგს – დევს,
თუ საზღვარგარეთ უვლია სადმე.
სიბრძნედ მივიჩნევთ მათ ბრიყვულ ბოდვებს,
და გვიან ვხვდებით, იმ კაუჭს მოგვდეს,
ჩვენს დასაჭერად რომ გამოსცადეს!

ალექსანდრე შენგელია
ქუთაისი-თბილისი

ბუკინისტი იყიდის:



მე-18-მე-19 საუკუნეში გამოშვებულ წიგნებს – 1500 ლარად, საბჭოთა კავშირში გამოშვებულ ფაიფურის სტატუეტებს – 200 ლარად, ძვირად იყიდის 1945 წლამდე გამოშვებულ ჟურნალებს, მისალოც ბარათებს, გრავიურებს, ნახატებს, ხელნაწერებს, პლაკატებს, საბავშვო წიგნებს, მოვერცხლილ ან ვერცხლის ჭურჭელს.

591-75-35-38.

ცხვირაპრეხილი მომთაბარე ჭურფები

მე-13 საუკუნეში, როცა ჩინგისხანი იმპერიას ქმნიდა, მონღოლ ქალებს თვალშისაცემი მაკიაჟის გაკეთება უყვარდათ, ყოველ შემთხვევაში, ასე მიიჩნევდნენ უცხოელები.

მონღოლი მანდილოსნები სახეს ყვითელი თეთრათი იღებავდნენ, რომელიც ჩინელ დიპლომატ სიუი ტინს მგლის ნასკორავი ეგონა. ფლამანდიელი მოგზაური ბერი ვილემ რუბრეკი კი წერდა, რომ წარბებს ისინი შავი საღებავით იხატავდნენ. „ყველა ქალი გასაკვირად ტანსრულია, – წერდა ფლამანდიელი მსტოვარი, – და ის, ვისაც სხვებზე პაჭუა ცხვირი აქვს, უფრო ლამაზად ითვლება“. იგი ყვებოდა, რომ ერთ-ერთი მონღოლი მხედართმთავრის ცოლს, როგორც ჩანს, იდეალთან მიახლოების მიზნით, ცხვირის წვერი წაჭრილი ჰქონდა.

ორივე სქესის მონღოლები მეტად რთულ თმის ვარცხნილობას ატარებდნენ: მამაკაცები თმას შუბლიდან თხემამდე იპარსავდნენ, სადაც დატოვებული თმა მერე წარბებზე ჰქონდათ ჩამოშლილი, გვერდებზე კი გრძელ კულულებს იწნავდნენ და ყურებზე იმაგრებდნენ.

გათხოვილი ქალები ასევე იპარსავდნენ თმას, შუბლიდან თხემამდე, დარჩენილს კი ხის ნაჭრისგან ან მერქნისგან დამზადებულ მაღალ თავსაბურავში მალავდნენ. ტრამალის მშრალი ქარისაგან კანის დასაცავად მონღოლი ლამაზმანი მამაკაცებიცა და ქალებიც, მძაფრსუნიან ცხვრის ქონს ისვამდნენ.

თვალწარმტაცი სიელმე

მეზოამერიკული ცივილიზაციის ერთ-ერთ გამორჩეულ წარმომადგენლებს მაიას მიაჩნდათ, რომ სიელმეზე მომხიბლავი ადამიანში არაფერი შეიძლება იყოს.

მე-14 საუკუნეში ესპანელი მისიონერი დიეგო დე ლანდა წერდა, რომ აბორიგენები ხელოვნურად აელმებდნენ ორივე სქესის ბავშვებს – ისინი თმაზე ძაფზე დაკიდებულ ფისის ბურთულაკს ისე უმაგრებდნენ, რომ ცხვირის ფუძესთან ყოფილიყო. ამის გარდა, დედები ბავშვებს თავის ქალებს უგრძელებდნენ, მაგრად შეკრული ფიცრების მეშვეობით (თუმცა ეს წესი ადამიანით დასახლებულ ყველა კონტინენტზეა ცნობილი). მოდური იყო ასევე წაწვეტებული კბილები, მათ კიდევ პატიოსანი თვლებით ინკრუსტირებდნენ. პეწენიკი ხალხი ყურებს, ნესტოებსა და ქვედა ტუჩს იხვრეტდა და მძიმე სამშვენისებს იდგამდა. მათი აზრით, ასევე სილამაზეს ჰმატებდათ უამრავი სვირინგი და საგანგებო იარა. სინატიფის უკიდურესი გამოვლენა კი, ლანდას მოწმობით, იყო სხეულისა და სახის წითლად შეღებვა. კონკისტადორ ერნან კორტესის ცნობით, საღებავი ასევე სიცივისგან, სიცხისგან და კოღოებისგანაც იცავდა.



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოწულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

გასაცინებელი ა(მ)ბები

ჭეშმარიტი მიზანი

ერთ ქალაქში მთელ მსოფლიოში სახელგანთქმული პიანისტი ჩავიდა.

იმპრესარიომ სასტუმროში როიალიანი და ხმაურგაუმტარკედლებიანი ნომერი შეუკვეთა.

– თქვენ გინდათ, რომ თქვენმა გასტროლიორმა სრულ სიმშვიდეში იცხოვროს, არა? – გაგებით შენიშნა სასტუმროს ადმინისტრატორმა.

– არა, ჩემი მიზანია გასტროლიორის მუსიკა უფასოდ არავინ მოისმინოს.

მარადიული ჭეშმარიტება

ანჯეი უზომოდ შეყვარებულია და მიჯნურის საჩუქრებისთვის ფულს დაუნანებლად ხარჯავს. ერთხელაც, ქალიშვილმა ანჯეისგან ძვირფასი საჩუქარი რომ მიიღო, ეკითხება:

– როდის მორჩები ფულის ასე უყაირათოდ ხარჯვას?

– როგორც კი ჩემი ცოლი გახდები.

ქალური ეშმაკობა

გადაჭედილ ტრამვაიში ორი ახალგაზრდა ქალი ადის და ადგილის დასათმობად ადგილიდან არავინ იძვრის. მაშინ ახალგაზრდა ქალთაგან ერთ-ერთი მეგობარ ქალს ეუბნება:

– როგორ მინდა, რომ ადგილი იმ ლამაზმა მამაკაცმა დამითმოს.

ერთბაშად ხუთი მგზავრი წამოდგება.

კიბე

საგიჟეთიდან ორი სულით ავადმყოფი გაიქცა, რკინიგზის ლიანდაგზე გავიდნენ და შპალებზე მიაბიჯებენ.

– ძალიან მოუხერხებელი კიბეა, ატყობ? – ამბობს ერთი.

– ვატყობ რომელია! – ეთანხმება მეორე. – მაგრამ უარესი ის არის, რომ მოაჯირი ძალიან დაბლა დაუყენებიათ.



გულმავიწყობა

„საყვარელო, – წერს ყმაწვილკაცი თავის თვალდადგმულ გოგოს, – გუშინ ისე აღელვებული და დაბნეული ვიყავი, რომ ვეღარ გამიხსენებია, რა მიპასუხე ჩემს წინადადებაზე.

გოგო უპასუხებს:

„საყვარელო, რა კარგია, რომ მომწერე, თორემ ვეღარ ვიხსენებდი, ვის ვუთხარი გუშინ უარი“.

კარგი მაგალითი

ჰიგიენის გაკვეთილია. მასწავლებელი უხსნის მოსწავლეებს, თუ როგორი მავნეა ცხოველების კოცნა.

– რომელს შეგიძლიათ მაგალითის მოყვანა? – კითხულობს მასწავლებელი.

ადგილიდან პატარა ბიჭი დგება:

– აბა, იან, თქვი რა იცი?

– დეიდაჩემ ალისიას ჩვეულებად ჰქონდა თავისი ძაღლის დრუნჩში კოცნა.

– მერე, რა მოხდა?

– ძაღლი მოკვდა.

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.7228; ევრო - 3.2339;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.6183;
100 რუბლი - 4.6672; თურქული ლირა - 0.6921;
აზერბაიჯანული მანათი - 1.6030;
1000 სომხური დრამი - 5.6152.

ამინდი 30 ნოემბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+1,	დღე	+11
მთიანი რაიონები -	ღამე	-1,	დღე	+8
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+7,	დღე	+15
მთიანი რაიონები -	ღამე	0,	დღე	+9
თბილისი:	ღამე	+2,	დღე	+9

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge